საერთო გაზეთი

№34 (445) • 20 სექტემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ფრთიანი ანგელოზები“ „ნაცმოძრაობის“ „სათნოების სახლიდან“

„თუ ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის სტაბილურობის ერთადერთ გარანტს, ვერ დაიცავს, მაშინ ის ვერც საქართველოს და ვერც საკუთარ თავს ვერ დაიცავს მოსალოდნელი კატასტროფისგან“.

მაფიაა თუ პროფკავშირი?

ვინ გაიტანს ბომბებს ქალაქიდან?

კვირის მასხარები, ცრუპენტელები და მაჯლაჯუნები...

სოსო ცინცაძე: საკაშვილი პოლიტიკური მაძებარი ძაღლია, რომელიც ყნოსვით გრძნობს, რომ დადგა მომენტი, როცა შეიძლება პოროშენკოს ეტაკოს და ყვ....ი გამოაჭამოს...

კონსტანტინე მორგოშია:

კანცელარიასთან სასიკვდილო შიმშილობას გამოვაცხადებთ...

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

„ფრთიანი ანგელოზები“ „ნაცმოძრაობის“ „სათნოების სახლიდან“

„ფრთიანი ანგელოზები“ „ნაცმოძრაობის“ „სათნოების სახლიდან“ — მელიები, ბარამიძეები, ხაბეიშვილები, უდუმაშვილები და ძმანი და დანი მათნი ბანკ „ქართუს“ მიეჭრნენ და სულ „ბოროტების სასახლე“ უძახეს, სადაც თურმე ბიძინა ივანიშვილი შავ ფულს რეცხავს 24 საათის განმავლობაში და მერე გარეცხილ-გაქათქათებულ ფულს „ცუდი საქმეებისთვის“ იყენებს.

— აგერ გვაქვს დოკუმენტებიო, — ყვიროდნენ „ფრთიანი ანგელოზები“ და რაღაც ფურცლებს აფრიალებდნენ, რომლებზეც არავინ იცის, რა ეწერა.

ნამდვილი ფარსი, ნამდვილი კომედია იყო ის, რასაც „ნაცები“ ბანკი „ქართუს“ შენობასთან აკეთებდნენ, თუმცა ამ ფარსს და კომედიას მათ ენაზე აქცია ერ-

ქვა და მათი ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“ ამ უმსგავსობას პირდაპირ ღია ეთერში გადასცემდა.

ყველა იმ დემაგოგიურ ბრალდებას, რასაც ნაცები ასე ომახიანად აცხადებდნენ, დიდი ხანია დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი გაეცა, თუმცა „ნაცმოძრაობას“ ეს ნაკლებად აინტერესებდა — მათ თვითმიზნად ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა და მისთვის ტალახის სროლა ჰქონდათ დასახული და ამ „პოლიტიკური“ ამოცანის შესასრულებლად იყენენ ჭავჭავაძის 39-ში მიხეტებულნი.

ამ შენობაში, რომელსაც „ნაცები“ ბოროტების სასახლეს ეძახდნენ, ბანკი „ქართუსთან“ ერთად საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ არის დაბინავებული, საიდანაც ქველმოქმედების სახით ორ მილიარდზე მეტია გაცემული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პროექტების, ეკლესიების, თეატრების, სპორტული კომპლექსების, სხვადასხვა ობიექტების დასაფინანსებლად.

არაფერს ვამბობთ იმ სტიპენდიებზე, რომლებსაც ფონდი „ქართუ“ დაფუძნების დღიდან გასცემს და რომელიც ჯამში კოლოსალურ თანხებს შეადგენს.

ყოველივე ამის შემდეგ რა სინდისით და რა ნამუსით უწოდებთ ამ შენობას „ბოროტების სასახლეს“, თქვე მართლა ბოროტო და ფარისეველო ნაცებო?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საერთოდ როგორ ბედავთ თქვენ შავ ფულზე, ბიზნესის შევიწროებაზე, ბიუჯეტის ძარცვაზე ლაპარაკს, ნაცებო, როცა თქვენ მთელი ცხრა წლის განმავლობაში სწორედ ამ საქმეებით იყავით დაკავებული და იმდენი საშინელება გაქვთ ჩადენილი, იმდენი ცოდვა გაქვთ წამოკიდებული, ცხრა პარტიას ეყოფა საზიდად.

რა შავ ფულზე ლაპარაკობთ თქვენ, თქვე მართლა შავებო და ბნელებო, ჯოჯოხეთის კუპრში რომ უნდა იწვოდეთ და ამ დროს პარლამენტში ზიხართ, მიტინგებს მართავთ და მორალს გვიკითხავთ.

თუმცა სიმართლეს თუ გავუსწორებთ თვალს, მთლად თქვენი ბრალი არ არის ის, რასაც თქვენ ბედავთ.

თავმოყვარე ერი თქვენ კარგა ხნის წინათ მიგიჩენდათ იმ ადგილს, რომელსაც იმსახურებთ, მაგრამ ეს არ მოხდა და შედეგიც სახეზეა.

თქვენ თქვენი ნაავკაცარიდან ვერანაირი დასკვნა ვერ

დავთ თქვენ შავ ფულზე, ბიზნესის შევიწროებაზე, ბიუჯეტის ძარცვაზე ლაპარაკს, ნაცებო, როცა თქვენ მთელი ცხრა წლის განმავლობაში სწორედ ამ საქმეებით იყავით დაკავებული და იმდენი საშინელება გაქვთ ჩადენილი, იმდენი ცოდვა გაქვთ წამოკიდებული, ცხრა პარტიას ეყოფა საზიდად.

რა შავ ფულზე ლაპარაკობთ თქვენ, თქვე მართლა შავებო და ბნელებო, ჯოჯოხეთის კუპრში რომ უნდა იწვოდეთ და ამ

გამოიტანეთ, გვამები დაახვავეთ, სისხლის ტბები დააყენეთ, ქვეყანა გაძარცვეთ და დააყაჩაღეთ, უდანაშაულო ადამიანები გააუბედურეთ, ქვეყნის ტერიტორიის 20% დაკარგეთ, მაგრამ დღემდე არაფერი გინანიათ, რაც იმის დასტურია, რომ არც მომავალში მოისვენებთ თქვენ, სანამ ქვეყანას ახალ უბედურებას არ დაატეხთ თავს.

რა ვქნათ ახლა ჩვენ, გულ-

თუ ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის სტაბილურობის ერთადერთ გარანტს, ვერ დაიცავს, მაშინ ის ვერც საქართველოს და ვერც საკუთარ თავს ვერ დაიცავს მოსალოდნელი კატასტროფისგან.

ხელდაკრეფილი გიყუროთ და მშვიდად დაველოდოთ იმ საბედისწერო დღეს, როცა დიდ პროვოკაციას მოგვიწყობთ და ქვეყანას შეიწირავთ?

დიდი გაშიფრვა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რატომ უტევთ თქვენ მაინცდამაინც ბანკ „ქართუს“ და არა უცხოური კაპიტალით დაფინანსებულ სხვა ბანკებს, რატომ უტევთ მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილს და არა სხვა საკმაოდ მდიდარ ადამიანებს.

იმიტომ აკეთებთ ამას, რომ იცით, დღეს საქართველოს ბედი ამ კაცის სახელთან, მის ბედთან არის დაკავშირებული.

თუ ივანიშვილს გაინაპირებთ, მერე ამ ქვეყნასაც ადვილად მოღუნავთ, ადვილად გადატეხთ ხერხემალში, ადვილად გადათელავთ და გადაუვლით, როგორც ეს არაერთხელ გაგიკეთებიათ.

ამასობაში კი შეიძლება თქვენი მოხეტიალე ბელადიც მოადგეს ქვეყნის საზღვრებს და აი, მაშინ იხუვლებთ და კვლავ დააპირებთ ქვეყნის დაპყრობას. (თქვენ ხომ შინაური დამპყრობლები ხართ, შინაური ოკუპანტები).

თუ ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის სტაბილურობის ერთადერთ გარანტს, ვერ დაიცავს, მაშინ ის ვერც საქართველოს და ვერც საკუთარ თავს ვერ დაიცავს მოსალოდნელი კატასტროფისგან.

არის ასეთი პარტია — „ქართული ოცნება“.

მიკვირს, ძალიან მიკვირს, როცა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, მისი საპარლამენტო უმრავლესობა, რამდენიმე დეპუტატის გარდა, მშვიდად და აუმღვრევლად უსმენს და უყურებს, როგორ ლანძღავენ და უტევენ კაცს, რომელმაც ეს ორგანიზაცია დააფუძნა და რომლის წყალობითაც ზოგი პარლამენტში მოხვდა, ზოგი მთავრობაში, ზოგი სხვადასხვა თბილ სავარძლებში ჩასკუპდა.

მიკვირს, ძალიან მიკვირს, რატომ არავინ იღებს ხმას და რატომ არავინ სცემს საკადრის პასუხს ამ აბოჟირებულ ცილისმწამებლებს და პროვოკატორებს?

არ გეხებათ თქვენ ეს ამბავი, თუ რაშია საქმე, ბატონებო?!

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

საკაშვილი პოლიტიკური მაძებარი ძაღლია, რომელიც ყნოსვით გრძნობს, რომ დადგა მომენტი, როცა შეიძლება პოროშენკოს ეტაკოს და ყვ....ი გამოაჭამოს...

გვესაუბრება პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე:**

— ბატონო სოსო, საკაშვილის უკრაინაში „შეტანის“ საკითხი კვლავ აქტუალურია. თქვენი აზრით, რას ემსახურებოდა ეს „სპეცოპერაცია“, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, ვისი ინტერესებია და რა საფრთხის შემცველია საქართველოსთვის?

— უკრაინას, ბოლო წლებში, პრეზიდენტების საკითხში არ უმართლებს. უკანასკნელი ორი პრეზიდენტი ბუნებრივი განვითარების ლოგიკიდან ამოვარდა. უკრაინა ევროპული ქვეყანაა, მით უმეტეს, მისი დასავლეთი ნაწილი, სადაც ახლა საკაშვილი იმყოფება. კომუნისტური რეჟიმის დროს დასავლეთ-უკრაინაში ხშირად დავდიოდი. მაშინაც კი იგრძნობოდა, რომ ლვოვი და მისი შემოგარენი საბჭოთა კავშირი არ იყო. ანუ, ლვოვი კლასიკური საბჭოთა ქალაქი არ იყო. რუზველტი ემუდარებოდა სტალინს ლვოვი პოლონეთისთვის გადაეცა. ეს არ იყო მისი კაპრიზი. მაშინ მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ ლვოვი დასავლური ქალაქი იყო, რომელსაც ფასეულობებისა და ღირებულებების თვალსაზრისით რუსეთთან საერთო არაფერი ჰქონდა. ასე დარჩა მთელი საბჭოთა ეპოქის პერიოდში ისევე, როგორც ბალტიისპირეთი. მოსკოვმა ვერ შეძლო დასავლეთ-უკრაინის სოვეტიზაცია, მხედველობაში მაქვს ფასეულობები, ღირებულებები. ეს ნაწილობრივ შეძლო ამიერკავკასიაში. რაც შეეხება საკაშვილს, ეს ფაქტი იმდენად მიშას სიძლიერეზე არ მეტყველებს, რამდენადაც მოქმედი პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის სისუსტეზე. ეს ისტორიულად ყოველთვის ასეა. საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც მოხდა რევოლუციონერების დამსახურება კი არ იყო, არამედ იმ პოლიტიკის შედეგი, რასაც იმდროინდელი მეფე ატარებდა.

ასევე, დაღუპა შევარდნაძე საკუთარმა სისუსტემ. პოროშენკო უკვე ნელ-ნელა დასავლეთის იმედგაცრუებას იწვევს. მოდით, შევადაროთ საქართველო და უკრაინა. დასავლეთი საქართველოზე უფრო ადვილად აიღებს ხელს, ვიდრე უკრაინაზე. კი, გეო-პოლიტიკა, გეოგრაფიული მდებარეობა ყველაფერი გასათვალისწინებელია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინა 40 მილიონიანი, საფრანგეთისტოლა ქვეყანაა, თანაც წიაღისეულით, სოფლის მეურნეობით უმდიდრესი. საკაშვილს მეძებარი ძაღლის ყნოსვა აქვს. იგი, პოლიტიკური მეძებარი ძაღლია, რომელიც გრძნობს რომ ის მომენტი დადგა, როცა შეიძლება პოროშენკოს ეტაკოს და ყვ....ი გამოაჭამოს... ასე იყო აქ, შევარდნაძის დროს და ასეა, დღეს უკრაინაში.

პოროშენკო ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ვთქვათ, დაამტკიცა რომ იგი ძლიერი პრეზიდენტია, რასაც მისგან რუსეთი ოფიციალურად ითხოვს. ვთქვათ, ჩაატარა ოპერაცია, დააპატიმრა რამდენიმე ასეული ადამიანი, ვინაიდან უკანონოდ საზღვარი მხოლოდ საკაშვილს და იულია ტიმოშენკოს არ გადაულახავთ, არამედ ათასამდე ადამიანს. ათასი კაცი განსასჯელის სკამზე რომ დასვას და ციხე მიუსაჯოს, ასე, პოროშენკო ევროპისა და მსოფლიოს თვალში პატარა ერდოღანად იქცევა და იმ მდგომარეობაში აღმოჩნდება რაშიც დღეს ერდოღანია — მას უკვე საბოლოოდ უთხრეს, რომ მისი ადგილი ევროპაში არ არის.

საკაშვილს ერთი რამ კარგად ესმის — იგი სხვის წისქვილზე ასხამს წყალს და ვერასოდეს გახდება უკრაინის პირველი პირი, რადგან მთელი 70-წლიანი ბატონობის პერიოდში უკრაინელების მთავარი მახასიათებელი რადიკალური ნაციონალიზმი იყო. საკაშვილს იქ პოლიტიკური მომავალი არ აქვს. მიშა ყოველთვის ტიმოშენკოს მოკავშირე უნდა იყოს. მაგრამ მისი ხასიათიდან, ბუნებიდან გამომდინარე, იგი მეორე პირის როლს დიდხანს ვერ შეასრულებს. ამიტომ, ხანგრძლივ გათვლაში პერსპექტივას ვერ ვხედავ. რასაკვირველია, საკაშვილს თავისი გეგმა აქვს — მას უნდა დასავლეთის თვალში დაამტკიცოს, რომ შეძლებს უკრაინაში, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, რაღაც ცვლილებები შეიტანოს. რა არის ამ ბრძოლის საბოლოო მიზანი — კორუფციის მოსპობა? — არსად, არასოდეს, არამედ კორუფციის მასშტაბების შემცირება, თორემ კორუფცია ყველა ქვეყანაშია. დღეს, საქართველოშიც არის კორუფცია, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც შევარდნაძის დროს. თუ საკაშვილმა მიაღწია, რომ ეს ოლიგარქიული რეჟიმი, რომელიც როგორც შევარდნაძის დროს ხდებოდა, ყურებამდე კორუფციაშია ჩაფლული, საქმე სხვაგვარად წავა. ეს არის მიშას მიზანი. ამიტომ, აქ გადმოცემა, გასამართლება ამ ეტაპზე არ მოხდება. მოდით ასე ვთქვათ, დასავლეთში ყველა ვერ დაიჯერებს იმას, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული არ იქნება. დღეს, დასავლეთში არავის არ სჯერა ის, რომ საკაშვილის სასამართლო საქართველოში სამართლმსაჯულო დემოკრატიის ზეიმი იქნება. მათ აქვთ სერიოზული ეჭვები, რაც იგივე, იგივე მერაბიშვილის ციხიდან გაყვანამ გააჩინა. ამიტომ, ეს ძალიან მრავალწახნაგოვანია. ჩვენთან, მხოლოდ ორი ფერია — შავი და თეთრი. პოლიტიკაშიც ყოველთვის ასე იყო: არსებობდნენ ზვიადისტები და ანტი-ზვიადისტები, შევარდნაძისტები და ანტი-შევარდნაძისტები, მერე, მიშისტები და ანტი-მიშისტები და ახლა, არიან ბიძინისტები და ანტი-ბიძინისტები. შუაში, მათ შორის არ არსებობს საამორტიზაციო ლეიბი, რაც აქვს ევროპულ დემოკრატიას, იგივე, შტატებს. ამიტომაც არის, როდესაც აქ, საამორტიზაციო ლეიბი არ არსებობს, ყოველი პოლიტიკური დაპირისპირება უკომპრომისო რადიკალიზმის ხასიათს ღებულობს — ან ჩვენ, ან ისინი. ჩვენც და ისინიც, რაც დემოკრატიაა, აქ, არ არსებობს.

— როგორ ფიქრობთ, რა განვითარება ექნება იმ ფაქტს, თუ საკაშვილს გადმოგვცემენ?

— საკაშვილის პროცესი ისევე, როგორც ციანიდის საქმე, დახურული ვერ იქნება. ელემენტარულად, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა ამის უფლებას არ მისცემს. ციანიდის საქმეზე ერთი მღვდელი დააპატიმრეს. ეს საკითხი ევროპას მაინცდამაინც არც აინტერესებდა, დიდი გამოხმაურება ამას არ მოჰყოლია. მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, თბილისში საკაშვილის სასამართლო პროცესი, რომლის დახურვასაც ხელისუფლება მოინდომებს, რაც გამორიცხულია. ეს მშვენივრად ესმოდა 1937 წელში სტალინს, როდესაც ცნობილი პროცესები ღია იყო, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო დასწრება, დარბაზი უცხოელებით იყო სავსე. აშშ-ს ელჩმა ფილმიც გადაიღო 37 წლის პროცესზე. მოდით, აბა, დახურეთ საკაშვილის პროცესი. კი, შეიძლება დახურონ, მაგრამ ამას რა პოლიტიკური დანაკარგი მოჰყვება? საკაშვილის რეჟიმის სასამართლოს ევროპაში ბევრი პოლიტიკურ პროცესად აღიქვამს, რაც მიშამ იცის, იგი ბრიყვი არ არის. გავიხსენოთ, ქრონიკები — როგორ მოვიდა იგი საქართველოს ხელისუფლებაში. თავიდან ერთი პოლიტიკური შეცდომა არ დაუშვია, მერე, მოგეცათ ლხენა დანაშაულებრივი შეცდომები ჩაიდინა. ზოგი ამბობს: საკაშვილი არსენა მარაბდელია — მდიდარს აძლევს, ღარიბს ართმევსო, მეორე მხარე ამბობს: ბენ ლადენია, რომელიც ყველაფერს ანგრევს, აფეთქებს, ხოცავსო. სინამდვილეში, არც ერთია და არც მეორე.

— ბატონო სოსო, წელან ახსენეთ, მიშა უკრაინაში პრეზიდენტი ვერ გახდებაო, თავადაც ამბობს: თანამდებობა არ მინდაო. სად მიდის მას მერე, რაც უკრაინაში ახალ თაობას მოიყვანს, საქართველოში ბრუნდება?

4 გვ.

ССААКААШВИЛИ ПОЛИТИКУРИ МАЕДЕБАРИ ДАЕЛЛИА, РОМЕЛИЦ УНОСВИТ ГРЕДНОБА, РОМ ДАДГА МОМЕНТИ, РОЦА ШЕИДЛЕБА ПОРОШЕНКОС ЕТАКОС ДА УВ....И ГАМОАЕАМОС...

3 გვ.

— გეგმა ასეთია: სააკაშვილს უნდა დამტკიცოს, რომ კრიზისული მენეჯერია. რა თქმა უნდა, 40 მილიონიანი ქვეყნის პრეზიდენტობა სურს შესაძლებელი რომ იყოს, მაგრამ ეს გამორიცხულია. სააკაშვილს ესმის, რომ ეს მიუწვდომელია. ამიტომ, მისი პრევენციული ნაბიჯია საბაბი არავის მისცეს, რათა თქვან: ვიღაც ქართველი ჩამოვიდა და რა უნდა, არ გვეყოფა საბჭოთა კავშირში ქართველი რომ გვხვრეტდაო. მეორე საკითხია, დასავლეთის თვალში როგორ გაიზრდება სააკაშვილის აქციები, პარალელურ რეჟიმში, საით მიდის საქართველოში პროცესები. როდესაც აქ, ამბობენ: 40 ჰესი აშენდაო, ეს „ობივატელს“ სულ არ აინტერესებს, არამედ მისთვის მთავარი ტარიფია. აბა მითხარით, თქვენ, „ობივატელი“ არ ხართ, განათლებული მანდილოსანი ხართ, წამყვანი გაზეთის ჟურნალისტი და რა უფრო გირჩევნიათ — ასი ახალი ჰესი თუ შემცირებული ტარიფი? რა ქნას ქსენია დისახლისმა — გაზი იმ იმედით ჩართოს, რომ 20 ახალი ჰესი აშენდაო?! ეს არაეფექტური პიარია. ამიტომ, სააკაშვილი ამასაც თვლის. ერთი ფრონტი ისაა, მან როგორმე დასავლეთს თავის ეფექტურობა დაუმტკიცოს, რომ ჯერ ადრეა ცნობა მის პოლიტიკურ სიკვდილზე. მეორე ის, რომ თუ მას უკრაინაში გაუმართლა, ერთ-ორ წელიწადში საქართველოში კიდევ ჩამოვა. ჩვენი ელექტორატი მოგეხსენებათ როგორიცაა: 80% ხმის ჩახლეჩვამდე ირჩევს ლიდერს, მერე ზოგს კლავს, ზოგს პირდაპირ პარლამენტის შენობიდან აგდებს, ზოგზე სასამართლო დევნას იწყებს. თუმცა, ყველა ეს ლიდერი მხარდაჭერილია არა ელექტორატის, არამედ ბრბოს მიერ. ეს ისტორიაა. პიერს „მოუსყიდველს“ ეძახდნენ და მერე, გილიოტინაზე მის გაგორებულ თავს აღფრთოვანებული ყიჟინით შეხვდნენ. ამიტომ, საშინელებაა, როდესაც ხალხი ბრბოდ იქცევა, ამაზე საშიში არაფერია. ჩვენთან, არაერთხელ იქცა ხალხი ბრბოდ და ამის პერსპექტივა კიდევ არის.

— ბატონო სოსო, რა ძალები მფარველობენ სააკაშვილს, რომ ჩადენილი დანაშაულობებისთვის პასუხი ვერ ვაგებინეთ, უფრო მეტიც, უკრაინაში წესრიგის დასამყარებლად მიავლინეს.

— ადრე ასეთი ანეკდოტი იყო: კომუნისტების დროს თბილისში სერიოჟა დაიჭირეს, კედელზე პროკლამაციებს აკრავდა. თურმე, ეს სუფთა ქაღალდები იყო. ჰკითხეს: ეს რა პროკლამაციაა, არაფერი წერიაო. რად უნდა დაწერა, ისედაც „იასნია“ ყველაფერიო — უთქვამს სერიოჟას. დიახ, ისედაც „იასნია“ ყველაფერი. და რატომ მალაპარაკებთ ტყუილად, ქალბატონო, თამარ? საფრანგეთში კეზერაშვილის სასამართლო განა ეს ჩვენთვის წკიპურტი კი არა და თავში კომბალი არ იყო? მერე, გამოდის ჩვენი იუსტიციის მინისტრი, ჩემი ყოფილი სტუდენტი — წულუკიანი, რომელსაც ხელისუფლებისადმი ლტოლვამ ყველაფერი დაავიწყა, რასაც დიპლომატიურ აკადემიაში ვასწავლიდი და აცხადებს: ჩვენი პროკურატურა, დღეს, ევროპული სასამართლოსთვის მზად არ არის. მოიცათ, რა, ევროპულ სასამართლოში მარსიანელები სხედან, უცხოპლანეტელები თუ ვინ? ე.ი. ცივილიზებურობისთვის არ არის ხომ მზად? იგივეა, სააკაშვილთან მიმართებაში. რატომ მოხდა ისე, რომ დღეს, სააკაშვილის მომხრეების გაუჭრელი კოზირის კარტად იქცა რამდენიმე კოსტუმი, ბებიამისის 20 წლის მანქანა და უცხო ქვეყნის პრეზიდენტისადმი ნაჩუქარი ყვავილები და რესტორანში გამართული სადილი. რატომ მიმდინარეობს პროცესი ამაზე და არა იმ ბრალდებებზე, რაც მართლა შეგვიძლია წავუყენოთ?! მაინტერესებს, რატომ იქცა იგივე თავდაცვის მინისტრისადმი მთავარ ბრალდებად ის, რომ ჯარისკაცს უკანალში პანჩური ამოარტყა და წვიმაში არბენინა? ჯარისკაცმა წვიმაშიც უნდა ირბინოს და ყველგან. ამერიკელები ჯუნგლებში უშვებენ და იქ, ასწავლიან გველებით და ხვლიკებით როგორ იკვებონ, რათა გადარჩნენ. დღეს, ეს ახსოვს ხალხს და არა ის რა დანაშაულობები იქნა ჩადენილი რეალურად. უგულავამ აქტივისტებს ხელფასები დაუნიშნაო. ამას რომ ხედავს სააკაშვილი. ის ფიქრობს, რომ თუ საქართველოში ასე გაგრძელდა, ჩემი დრო მალე მოვაო. განა არ შეიძლებოდა ხელისუფლებას ოპოზიციისთვის დაეჯერებინა და კონსტიტუციაში ის ცვლილებები შეეტანა, რასაც ვენეციის კომისია და მთელი ქვეყანა უჭერდა მხარს. მაშინ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნების. ნაკლები შანსი ექნებოდა, მაგრამ ამ ნაბიჯით ისინი სააკაშვილის შანს ზრდიან. ნუთუ ამას ვერ ხვდებიან?

თამარ შველიძე
555 23 28 24

კვირის მასხარები, ცრუპენტელები და მაჯლაჯუნები

სააკაშვილის თქმით, უკრაინის ხელისუფლებამ მის ოთახში სათვალთვალო და მოსასმენი მოწყობილობები დაამონტაჟა. „პეტრ ალექსეევიჩ, თქვენ საქმე არაფერი გაქვთ? გინდათ უყუროთ, როგორ დადის სააკაშვილი საპირფარეშოში? თქვენი ცხოვრება არ გყოფნით? გინდათ ჩემი პირადი ცხოვრებით, ინტიმური ისტორიებით დაკავდეთ? მე მინახავს მსგავსი ადამიანები.. პუტინი იყო ამით დაკავებული. საქართველოში ასეთი ასლან აბაშიძე გვყავდა, იგი იყო ამით დაკავებული, რაღაც ნომრებს იწერდა ხოლმე. არ გრცხვენიათ? როცა მე ქვეყნის პრეზიდენტი ვიყავი, სპეცსამსახურებს პირადი ცხოვრების ჩაწერას ვუკრძალავდი, ჯაშუშების პირადი ცხოვრებისაც კი. იყო ასეთი შემთხვევა, რომ მომიტანეს ერთ-ერთი აგენტის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა, რომლის გამოყენებაც ჩვენს სპეცსამსახურებს უნდოდათ. მე მათ ვუთხარი, რომ გაენადგურებინათ ყველაფერი და აგრეთვე ვუთხარი, რომ მეტჯერ აღარასოდეს ჩაიწერდნენ მტრებსაც კი. ამ კომპრომატებით მე ვერ შემაჩერებთ“ – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტყოფილის ტონი და გამომეტყველება იმდენად დამაჯერებელი იყო, 2013 წელს სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი კასრები რომ არა, მის გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

უკრაინიდან საქართველოში გადმოვინაცვლებთ და შეგახსენებთ, რომ 15 სექტემბერს რესპუბლიკურმა პარტიამ თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის საარჩევნო სიის მეორე ხუთეული წარადგინა, რომელშიც ლგბტ აქტივისტი ნინო ბოლქვაძე შედის. ქალბატონი ნინო საჯარო სივრცეში ღიად აცხადებს, რომ ლესბოსელი გახლავთ, რაც საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

„საჭიროა, რომ პოლიტიკაში მეტი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები გამოჩნდნენ, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან საკითხები და პრობლემები, რაც მათ აწუხებთ. ისინი შეძლებენ ამ პრობლემების წარმოჩენას და ადვოკატირებას იმ დონეზე, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება“ -განაცხადა ნინო ბოლქვაძემ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ პოლიტიკაში ლესბოსელის გამოჩენის ფაქტმა სოციალურ ქსელსა და მედიაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, თუმცა კვირის სენსაცია მაინც ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მიერ მერობის კანდიდატის წარდგენა გახლდათ, როცა შალვა ნათელაშვილის ფრთიანი ფრაზების კრებული კიდევ ერთი „მარგალიტით“ შეივსო:

„ვინმე დაგჩაგრავთ? თქვენ არ დაგჭირდებათ მისვლა, გუგავა მოვა. ავად გახდებით? გუგავა მოვა. ბანკი მოვა გამოსასახლებლად? გუგავა მოვა. რამე გაგიჭირდებათ? გუგავა იქნება თქვენს გვერდით“.

„ეპოქალური წარდგენა“ მყისიერად აიტაცეს სოციალური ქსელების მომხმარებლებმა. ამასთან, გიორგი გუგავას „მოქმედების ასპარეზი“ გააფართოვეს და დამატებითი ფუნქციებიც დაუმატეს:

ვინდოუსი იქნება გადასაყენებელი – გუგავა მოვა!

ორი ჯოკერი არ მოვა – გუგავა მოვა!

ხაშლამას მარილი დააკლდება – გუგავა მოვა!

პახმელიაზე იქნები – გუგავა მოვა!

გუგავა შეშა, გუგავა წყალი, გუგავა ცოცხალს მოგვისწარი...

თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ელით? – გუგავა მოვა!

შეყვარებულმა მიგატოვათ? – გუგავა მოვა!

ფაჩულია წავიდა ნაკრებიდან? გუგავა მოვა!

თუ შუქი წავა – გუგავა მოვა!

თუ გაზი წავა – გუგავა მოვა!

ბავშვის გაკეთება მოგინდათ – გუგავა მოვა და ა.შ.

ჯერჯერობით, აქტუალობას არ კარგავს „ჯეჯელავას ვაშლების“ თემა. სხვათა შორის, ასეთი აჟიოტაჟი წინა ხელისუფლების დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლებში პრეზერვატივების, სექსუალური აღზრდისა ჰომოსექსუალური პროპაგანდის შემცველი წიგნების შეტანას არ მოჰყოლია, რაც ფაქტებისა თუ მოვლენების ადექვატურად აღქმისა და ანალიზის უნარზე ნამდვილად არ უნდა მეტყველებდეს..

ნელი თორდია
571 35 36 88

დავით ოქიტაშვილი

მაფია თუ პროფკავშირი?

დავით ოქიტაშვილი: პეტრიაშვილისთვის პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარის კაბინეტში ავტომატებით და ზონდერებით შევარდნა პროფკავშირული ენით საუბარი ყოფილა და ჩემთვის განსხვავებული აზრი ქონა – დანაშაული...

გაერთიანებული პროფკავშირების მე-13 ყრილობის გადაწყვეტილებით, პროფესიული კავშირების გაერთიანებას მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს.

პროფკავშირების თავმჯდომარის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დავით ოქიტაშვილმა ირაკლი პეტრიაშვილი პროფკავშირების ქონების გაფლანგვაში, ნეპოტიზმში და სანდრო გირგვლიანის მკვლელების მფარველობაში დაადანაშაულა.

რატომ მოხსნა არჩევნებიდან კანდიდატურა, რას ფიქრობს თანამდებობის დატოვებაზე და კონკრეტულად, რომელ ფაქტებს მიაწვდის პროკურატურას, ამაზე კულტურის პალატის პრეზიდენტი და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე დავით ოქიტაშვილი გვესაუბრა:

– პეტრიაშვილი აგონიაშია და ყველა განსხვავებული აზრის ჩახშობას ცდილობს. მე მას ბრეჟნევი დავარქვი იმიტომ, რომ პროფკავშირებში ბრეჟნევის ეპოქა დააბრუნა, მაგრამ ჩემი გამგეობიდან გარიცხვისა და თანამდებობიდან გაშვების უფლება არა აქვს. ხელოვანთა პროფკავშირებში გაერთიანებული ადამიანების უმრავლესობა მისი განცხადებებით შეურაცხყოფილია. მერწუნეთ, თუ პეტრიაშვილი არ გაჩერდა, ხელოვანი ადამიანები მისი გადაყენების მოთხოვნას დააყენებენ. ეს ადამიანი ორგანიზაციას ძალადობით მართავს, რაც დღეს ნამდვილად არ დაწყებულა. ცნობილია, რომ ირაკლი პეტრიაშვილმა წინა ხელისუფლებასთან ერთად, განათლების პროფკავშირების ლიდერი აიძულა, რომ ჯერ თანამდებობიდან და შემდეგ საქართველოდან წასულიყო.

ირაკლი პეტრიაშვილი

– ალბათ, მანანა ღურჭუმელიძეს გულისხმობთ..

– რა თქმა უნდა. სირცხვილია, როცა დარგობრივი პროფკავშირების ლიდერს კანადის ხელისუფლება პოლიტიკური დევნილის სტატუსს ანიჭებს და ამაში ლომის წვლილი პროფკავშირული გაერთიანების თავმჯდომარეს მიუძღვის. რამდენიმე თვის წინ, ანალოგიური ამბები მოუწყო სოფლის მეურნეობის გაერთიანებულ პროფკავშირსაც. აი, რა მეთოდებით ებრძვის ის განსხვავებულ აზრს. რასაკვირველია, გამგეობიდან და თანამდებობიდან ჩემი წასვლა უნდა, რომ ვერ გავიგო, კიდევ რა ქონებას ყიდის ან კიდევ რა უბედურებას უპირებს პროფკავშირებს, მაგრამ არსად წავალ, რადგან ეს მისთვის კომფორტი იქნება. ძალიან კარგად ვაცნობიერებ, რომ პროფკავშირებთან ამ ენით საუბარი არშეიძლება, რისთვისაც პროფკავშირის წევრებს და ლიდერებს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ეს ადამიანი სხვა გამოსავალს არ მიტოვებს.

– ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ თქვენი მიზანი თანამდებობა კი არა, ის იყო, რომ საზოგადოებისთვის ირაკლი პეტრიაშვილის 12 წლიანი, ფეოდალური მართვა დაგენახებინათ.

– როგორ უნდა გძულდეს შენი ქვეყანა, რომ მსოფლიო პროფკავშირის ლიდერებს უთხრა, საქართველოში დიქტატურაა და სახელისუფლებო კანდიდატი მებრძვისო. სკამისა და თანამდებობის მიმართ ლტოლვა არასოდეს მქონია, ამიტომ ამ ადამიანს სათქმელი არ დავუტოვე და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. პეტრიაშვილს რომ ჰკითხოთ, მე არაპროფკავშირული ენით ვლაპარაკობ, რაც დანაშაულია. მე გთხოვთ, დაუკავშირდით პროფესიული კავშირების გაერთიანების ყოფილ თავმჯდომარეს ირაკლი ტუღუშს და კითხეთ, რა მეთოდებით ებრძოდა ირაკლი პეტრიაშვილი და 2005 წელს როგორ გახდა გაერთიანების ლიდერი. ამ ადამიანისთვის პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარის კაბინეტში ავტომატებით და ზონდერებით შევარდნა პროფკავშირული ენით საუბარი ყოფილა და ჩემთვის განსხვავებული აზრი ქონა დანაშაული.

– რამდენიმე დღის წინ, ტვ პირველის ეთერში ტრანსპორტისა და გზების პროფკავშირების თავმჯდომარემ ლავრენტი ალანიამ, რომელიც ირაკლი პეტრიაშვილის მხარდამჭერი გახლავთ, ხელისუფლების კანდიდატად და მხარდამჭერად მოგიხსენიათ, თუმცა, გაირკვა, რომ თავად ალანიაც „ოცნების“ სიით მოხვდა საკრებულოში.

– მარტო ალანია? მისი მოადგილე და აჭარის პროფკავშირების თავმჯდომარე ილია ვერძაძე პარლამენტში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატია, მაგრამ „ოცნების“ წევრი იქნება, ნაციონალური მოძრაობის თუ ლეიბორისტული პარტიის, ჩემთვის პეტრიაშვილი წარსულია და ყველა ის ადამიანი, რომელიც მას მხარს უჭერს, გირგვლიანის მკვლელების მხარდამჭერია.

– რამდენიმე დღის წინ ბრძანეთ, რომ ირაკლი პეტრიაშვილის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პროკურატურას მასალებს გადასცემთ. იქნებ, დააკონკრეტოთ, რომელ საქმეებზეა საუბარი?

- აუცილებლად, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ადამიანი მიკავშირდება და კონკრეტულ ფაქტებს მაწვდის. საზოგადოებამ და მედიამ რომ არ თქვას, რომ პროკურატურაში ფარატინა ფურცლები შევიტანეთ და ფაქტები არა გვაქვს, ჩვენ თითოეულ მომჩივანს ადვოკატს ავუყვანთ, პრესკონფერენციას გავმართავთ, ყველაფერს გავასჯაროებთ და პრესკონფერენციიდან პირდაპირ პროკურატურაში წავალთ.

რამდენიმე თვის წინ, პეტრიაშვილმა მილიონებად გაყიდა ვაკე-საბურთალოს სასაფლაოებისკენ მიმავალი მიწის ნაკვეთი, საკუთარი დის ქმარს ერთ ლარად გადასცა პროფკავშირებში არსებული გარაჟი, 500 000 ლარად თუ დოლარად გაიყიდა რესტორანი, რომელიც თავიდან იჯარით ჰქონდათ აღებული. პეტრიაშვილმა პროფკავშირები ოჯახურ ბიზნესად აქცია, რომელშიც ჩართული არიან მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილები და მეგობრები. ასე, რომ მე არც გადადგომას და არც სადმე წასვლას ვაპირებ. ბრძოლას ვაგრძელებ და თუ პეტრიაშვილი არ გაჩერდება, პირობას ვაძლევ, რომ მის გაერთიანებაში არც ერთი პროფკავშირი არ დარჩება.

ჩვენ ვამზადებთ დოკუმენტურ ფილმს როგორ მოვიდა და როგორ მართავდა ირაკლი პეტრიაშვილი პროფკავშირებს 2005 წლიდან დღემდე. ასე, რომ ეს ყველაფერი იყო ჟურნალი, კინო რამდენიმე დღეში დაიწყება.

ვინ და რა მეთოდებით აიძულებდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებას და რატომ გახდა იძულებული საქართველოდან წასულიყო, ამის გასარკვევად, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ყოფილ პრეზიდენტსა და ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირების ყოფილ ვიცე პრეზიდენტს, მანანა ღურჭუმელიძეს, კანადაში დავუკავშირდით:

მანანა ღურჭუმელიძე

– იქნებ გაიხსენოთ, თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება როდის და რა ვითარებაში მიიღეთ?

– თქვენ მშვენივრად იცით, როგორ დევნას და ზეწოლას ახორციელებდა ჩემზე ყოფილი ხელისუფლება და მისი განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი. როგორც გაირკვა, ირაკლი პეტრიაშვილიც ამ პროცესებში იყო ჩართული. ძალიან კარგად მახსოვს დღე, როცა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მაიძულეს. საღამოს 10 საათი იქნებოდა, როცა ჩემთან პეტრიაშვილი, რამდენიმე კაცის თანხლებით მოვიდა. ამ დროს, ჩემს მოადგილეებთან და ახლო გარემოცვასთან საქმე უკვე მოგვარებული ჰქონდათ-ზოგს ვიცე პრეზიდენტობას დაპირდნენ, ზოგს სხვა რამეს... ფაქტობრივად, პეტრიაშვილმა ჩემი სრული იზოლაცია მოახდინა და მიმანიშნა, რომ თუ თანამდებობას საკუთარი სურვილით არ დავტოვებდი, ჩემი დისკრედიტაციის კამპანია გაათმაგებული ძალით გაგრძელდებოდა. კერძოდ, ის, რომ „რუსთავი 2“ და ხელისუფლების მართული მედიასაშუალებები ჩემზე ყოველ დღე სისაძაგლეებს ავრცელებდნენ, რაზეც ჩემი შვილები და მოხუცი დედა ნერვიულობდა. პეტრიაშვილი მაფრთხილებდა, რომ თუ არ წავიდოდი, მასწავლებელთა პროფკავშირებს რეგიონალური ორგანიზაციები დატოვებდნენ და ა.შ. ერთი სიტყვით, იძულებით დამაწერინეს განცხადება, რომელიც პეტრიაშვილმა პროფკავშირების გაერთიანებაში წაიღო. როცა მე მის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს, რომელიც საღი აზრით გამოირჩევა, ვკითხე, როგორ ეგუება ასეთ ტერორს, მიპასუხა, რომ არ შევეგუო, შვილებს დამიხოცავენო. მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, პროკურატურაში განცხადებას შევიტან და თუ ახლა სახელებს და გვარებს არ ვამბობ, მერე ყველაფერს ვიტყვი და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების სინდისზე იყო, შეძლებს თუ არა ირაკლი პეტრიაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულების ობიექტურად გამოძიებას. ის, რაც ამ წლების მანძილზე ორგანიზაციაში ხდებოდა, არის პროფკავშირების სასჯელი. დასაქმებული ადამიანები ხან მშენებლობაზე და ხან მაღაროში იმიტომ იღუპებიან, რომ საქართველოში პროფკავშირები არ არსებობს.

უხალისოდ, თუმცა 12 წლის წინანდელი ამბების გახსენებაზე პროფკავშირების გაერთიანების ყოფილი ლიდერი ირაკლი ტუღუშიც დაგვთანხმდა. მისი თქმით, ყველა პროფკავშირელმა იცის, რომ 2005 წელს მას თანამდებობის დატოვება ყოფილი ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლის შემდეგ მოუწია, თუმცა ახლა ამაზე საუბარი უშედეგოდ მიაჩნია.

პროფესიული კავშირის გაერთიანების ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში:

– ყველა პროფკავშირელმა იცის, რომ თანამდებობიდან წასვლა ზეწოლის შედეგად მომიწია, მაგრამ ამის გახსენება აღარ მინდა.. ირაკლი პეტრიაშვილი ჩემს მოადგილედ თუ არ ვცდები, 2000 წელს დავასახელე და შემდეგ, ყრილობაზეც ავირჩიეთ. ახალგაზრდა კაცი იყო, „თელასის“ პროფკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და მისი მებრძოლი ხასიათი მომეწონა.ფაქტობრივად, 3–4 წლის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ მუშაობდა. ჩვენს მიერ ორგანიზებულ აქციებს ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა, ამიტომ 2004 წელს მისი თანამდებობიდან გადარჩევა მოხდა. ამას მისი მხრიდან, მთელი ამბები მოჰყვა.. სანამ ჩემს კაბინეტში შემოიჭრებოდნენ, მისი მეგობრები ერთ-ერთ პლენუმზე შემოვარდნენ. დღეს ყველა მათგანი პროფკავშირებში მუშაობს და ზოგიერთი დარგის თავმჯდომარეა. 2005 წელს იძულებული გამხადეს, რომ რიგგარეშე ყრილობა ჩამეტარებინა.

– როგორც ვიცი, მანამდე მოხდა პროფკავშირის ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა..

– დიახ, პეტრიაშვილი ყველანაირად ხელს უწყობდა, რომ პროფკავშირების ქონება სახელმწიფოს წაეღო. სახელმწიფო ქვია, თორემ სინამდვილეში, ეს იყო ხელისუფლების გარკვეული ჯგუფი, რომელიც პროფკავშირების ქონების ხელში ჩაგდებით იყო დაინტერესებული. ქონების ნაწილი

ირაკლი ტუღუში

პროფკავშირებს დარჩა, თუმცა ძირითადი ნაწილი რა თქმა უნდა, სახელმიფომ წაიღო. ეკონომიკის სამინისტროსთან დაიდო ხელშეკრულება ქონების გადაცემის თაობაზე. მთელი „ოპერაცია“ ძალოვანმა სტრუქტურებმა განახორციელეს და როგორც გითხარით, იძულებული გამხადეს, რომ რიგგარეშე ყრილობა ჩამეტარებინა. რა თქმა უნდა, ყრილობის დელეგატები უშიშროების სამსახურმა წინასწარ „დაამუშავა“ და ასე მოხდა ჩემი ჩამოშორება პროფკავშირებიდან.

ჩვენი ინფორმაციით, ირაკლი პეტრიაშვილი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, თუმცა თუ დაბრუნების შემდეგ, ჩვენს გაზეთში მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე კომენტარის გაკეთების სურვილი გაუჩნდება, ამის საშუალებას აუცილებლად მივცემთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

რატომ ჰგონია სააკაშვილს მეგრელები სულელები?

ვინ და რატომ ეწევა სპეკულაციას სამეგრელოს თემით?

სამეგრელოს თემით სპეკულაცია არახალია, ძველია, თუმცა არ მეგონა, კაცი, რომელსაც ცხრა წელი საქართველოს პრეზიდენტი ერქვა, ამ თემით სპეკულაციას იკადრებდა.

არადა, იკადრა, თანაც ისეთი იაფფასიანი ფორმით გააკეთა ეს, პრეზიდენტი კი არა, რომელიმე წვრილფეხა ინტრიგანი და პროვოკატორი რომ არ იკადრებს.

— „ქოცმა“ როგორ უნდა გაიმარჯვოს ზუგდიდში, როცა ვიცი, როგორ ეზიზღება ბიძინა ივანიშვილს მეგრელები და სამეგრელო, — ისეთი დამაჯერებელი და შეუვალი ინტონაციით თქვა ეს როლში შეჭრილმა სააკაშვილმა, თითქოს ამის დამამტკიცებელი უტყუარი საბუთები ჯიბეში ედო.

აი, ეს კაცი, პროფესიონალი მატყუარა და ცრუპენტელა, ორიოდე კვირის წინათ, კიდევ ერთხელ გამოგვეცხადა „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან და ბევრ სხვა სიბრიყვესთან და სისულელესთან ერთად კიდევ ერთხელ გვამცნო (მას ადრეც აქვს გაკეთებული მსგავსი განცხადება) სკანდალური ამბავი, რომ ბიძინა ივანიშვილს სძულს, სძულს კი არა, ეზიზღება თურმე მეგრელები და სამეგრელო, თუმცა ამის დამამტკიცებელი არანაირი არგუმენტები არ წარმოუდგენია — დააზეთქა ეს სისულელე და გაიარა.

„ჩორტის“ ჩამოგდება ჰქვია ამას ჟარგონულ ენაზე, რასაც თავმოყვარე პოლიტიკოსი არ უნდა კადრულობდეს, თუმცა სააკაშვილი სწორედ იმით არის სააკაშვილი, რომ ყველაფერზე მიდის, ყველაფერს კადრულობს, ოღონდ რაღაც ხეირი და სარგებელი ნახოს.

სააკაშვილის სამიზნე ყოველთვის იყო და დღემდე არის არა ინტელექტუალური, მოაზროვნე საზოგადოება, არამედ ნაკლებად განათლებული, ნაკლებად ინფორმირებული აუდიტორია, რომელიც ადვილად წამოეგება ხოლმე ანკესზე და განსჯისა და დაფიქრების გარეშე ნებისმიერ პროვოკაციულ განცხადებას იჯერებს.

სააკაშვილის ეს განცხადებაც სწორედ ასეთ აუდიტორიაზეა გათვლილი.

მან ამ განცხადებით კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა მეგრელებს, რომლებიც, მისი გათვლით, იმდენად პრიმიტიულნი და გონებაჩლუნგნი არიან, რომ სააკაშვილის მიერ გადმოგდებულ ანკესზე „გოიმი“ ღორჯოებივით წამოეგებიან და განგაშს ატეხენ — გაიგეთ, ბიძინა ივანიშვილს ვეზიზღებით თურმე და ამიტომ „ქართულ ოცნებას“ ხმა არავინ მისცეთო.

სააკაშვილს არც დაუმალავს, რომ ქართველებზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არასოდეს ყოფილა.

ჩვენ მის თვალში ერთი ბნელი, ნახევრად ველური, უწიგნური, ულვაშებმოშვებული ხალხი ვართ, თავზე „კეპკით“ და ხელში ქვით, რომლის განათლება და ცივილიზაციასთან ზიარება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა ხელისუფლების სათავეში „დიდი განმანათლებელი“ და „მისიონერი“ მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, რომელსაც თურმე ახალი ქართული სახელმწიფო შეუქმნია, ახალი აზროვნებით, ახალი მენტალიტეტით.

ასე ბრძანებს ხოლმე „მოკრძალებული“ სააკაშვილი საკუთარ თავზე, ამასვე იმეორებს მისი თანამეცხედრე, ქალბატონი სანდრა და ამასვე იმეორებენ მისი ფანატიკოსი ფანებიც.

ასეთ მაღალ მატერიებზე მოფიქრალ სააკაშვილს, რა გასაკვირია, ქართველები ზოგადად და, მათ შორის, მეგრელებიც, სულელებად მივაჩნდეთ.

●

ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ უსაუბრია აღტაცებით მეგრელებზე, როგორც გამორჩეულად ნიჭიერ და უნარიან ადამიანებზე.

ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ გამოუხატავს ღრმა პატივისცემა სამეგრელოსადმი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, ყველაზე მეტი დარტყმა მიიღო და მაინც გაძლო და ფეხზე დადგა.

თუ ობიექტურად შევაფასებთ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას, მასზე ვერავინ იტყვის (თუ უსინდისო არ არის), საქართველოს რომელიღაც კუთხე უფრო მეტად უყვარს, რომელიღაც სხვა კუთხე — ნაკლებად და გადაწყვეტილებებს ამ სიმპატია-ანტიპატიის მიხედვით იღებსო.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს და მის დამოკიდებულებას სამეგრელოსადმი, ამ კუთხეს ყველაზე დიდი ზიანი სწორედ სააკაშვილის დროს მიადგა.

მართალია, სააკაშვილი, მისთვის ჩვეულ სტილში, ხშირად ფარისევლობდა და მეგრელებს და სამეგრელოს სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ ეს იყო სიტყვით, ხოლო ის, რასაც საქმით აკეთებდა ამ რეგიონში, ეს არის შემაძრწუნებელი, ამაზრზენი ცინიზმით და სისასტიკით ჩადენილი დანაშაულობები.

რაში გამოიხატებოდა სააკაშვილის სიყვარული სამეგრელოსადმი, იმაში, რომ ყოველი 10 პატიმრიდან 6-7 კაცი სამეგრელოდან იყო?!

�ი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, ყველაზე მეტი დარტყმა მიიღო და მაინც გაძლო და ფეხზე დადგა.

იქნებ, ის იყო სააკაშვილისებური სიყვარულის გამოვლენა ამ კუთხისადმი, მის დროს უბრალო გლეხების ოჯახებიდან „აკრეფილი“ უდანაშაულო ადამიანების ბაზაზე სამეგრელო „შპიონების“ და „აგენტების“ მთავარ „მომმარაგებელ“ პუნქტად რომ იქცა?

სამეგრელოსა და მეგრელების მოჭარბებული „სიყვარულის“ გამო იყო, ბატონო სააკაშვილო, ადამიანები უგზო-უკვლოდ რომ იკარგებოდნენ და დღემდე არავინ იცის, რომელმა ჭაობმა შთანთქა ისინი?

ეგებ, ის იყო სიყვარულის გამოვლენა, სამეგრელოში არსებულ სამალავებში უამრავი ფირი რომ იყო დასაწყობებული, რომლებზეც აღბეჭდილმა საშინელებებმა თავისი სისასტიკით და არაადამიანურობით არ შეიძლება არ შეგაძრწუნოს და არ გაგაოგნოს.

თქვენი ცოლი რომ მეგრულად უმღეროდა მეგრელებს, იმ დროს თქვენი ჯალათები მეგრელ ბიჭებს აუპატიურებდნენ და ამას ფირზე აღბეჭდავდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ როგორ ბედავთ იმის თქმას, პატივცემულო სააკაშვილო, რომ ივანიშვილს სძულს სამეგრელო, თქვენ კი გიყვართ?!.

ვახტანგ ხარჩილავა

სახელმწიფო კანცელარიასთან სასიკვდილო შიმშილობას გამოვაცხადებთ და მოშიმშილეების ის რაოდენობა ვიქნებით, რაც მსოფლიოს არ ახსოვს

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ (სებ-ი) პარლამენტს წინადადებით მიმართა, სებ-ის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებსაც ისეთივე იმუნიტეტი მოგვანიჭეთ, როგორიც სახალხო დამცველსა და გენერალურ აუდიტორს იცავსო. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა დავით ჭიჭინაძემ ამ „ნოვაციის“ ავტორთ ხუმრობანარევი, მაგრამ სრულიად ლოგიკური კითხვა დაუსვა, რას აპირებთ ბოლო-ბოლო, იქნებ ეს მაინც გვითხრათ, რა დანაშაულის ჩადენას აპირებთ, რომ „წილში“ მაინც გაგვიყვანოთო. მაშინ როცა საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ბანკის მოვალე მოსახლეობის მაჩვენებლით, სებ-ის შემოთავაზებული ცვლილებები, რბილად რომ ვთქვათ, გასაოცარია.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი, ფინანსისტი **კონსტანტინე მორგოშია**.

არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს №1 პრობლემა ბანკებია, რომლებსაც უბრალოდ ქართული ბანკები ჰქვია, თორემ იშვიათი გამოკლისის გარდა, არცერთი არ არის ქართული. მაგალითად, „საქართველოს ბანკის“ აქციები უკვე ლონდონის ბირჟაზეა გასული, ერთ დღეს რომ ქართული ბანკია, მეორე დღეს შეიძლება მისი აქციები სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა იყიდონ, შესაბამისად ბანკიც მათ ხელში გადავა. ამ ბანკის მენეჯმენტი ყოველთვის ასოცირდებოდა ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებთან, რამდენიმე თვის წინ შეიცვალა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი გილაური, რომელიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ძმაა. ბანკის მენეჯმენტში ისევ ის ხალხია, შესაბამისად ჩნდება ეჭვი, რომ ბანკი მეტნაკლებად ნაცმოძრაობასთან ასოცირდება. რამდენადაც ვიცი, თი-ბი-სის დამფუძნებელი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (იბიარდი) და სხვა სხვა ფინანსური ორგანიზაციებია, ისეთ ორგანიზაციებსაც მოიაზრებენ, რომლებიც ჯორჯ სოროსთან არიან დაკავშირებული.

ყველაზე მეტად ქართული „ქართუ ბანკია“, დანარჩენებში სულ უცხოური კაპიტალია, „ბაზისბანკში“ ჩინური ინვესტიციაა, „ტერაბანკი“ აბსოლუტურად არაბულია, „პროკრედიტბანკი“ გერმანულია და ა.შ. „საქართველოს ბანკი“ უშუალო ფინანსური აქტივების გარდა ფლობს სამშენებლო კომპანია „ემკვადრატს“, კომპანია „ევექსს“, რამდენიმე ხნის წინ შეიძინეს კომპანია ჯივიპი, ანუ „თბილისის წყალი“. რამდენადაც ვიცი, უახლოეს მომავალში რამდენიმე ხმაურიან პროექტს ახორციელებენ და სტრატეგიული ობიექტების ყიდვას აპირებენ. მათი დონორებისა და ფინანსური ჯგუფების ხელშია რამდენიმე ჰესი, ისინი „საქართველოს ბანკიდან“ ფინანსდება, ასე რომ, ეს ბანკი ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი მონოპოლისტია. ზოგადად, ფინანსური ბაზრის 80% და საერთოდ ყველაფერი, 17 თუ 18 ბანკს აქვს დაკავებული.

მეორე მსხვილი ბანკია „თი-ბი-სი“, მან შეიერთა ფრანგული „სოსიეტე ჟენერალი“, ბოლო ხანს კალაძის „პროგრესბანკიც“ იყიდეს. ჩემი ინფორმაციით, „ლიბერთი ბანკში“ ახალი მენეჯმენტი შედის, ეს ბანკი რამდენიმე თვის წინ, რამდენადაც ვიცი ირაკლი რუხაძემ იყიდა (ტელეკომპანია „იმედის“ გენდირექტორი – მ.ს.), აქედან გამომდინარე, უკვე იკვეთება, რომ ამ ბაზარზე 3-4 მონსტრი ბანკი დარჩება, რომელთა ხელშიცაა ჯერჯერობით 18 მილიარდამდე საკრედიტო პორტფელი. ამ თანხის უდიდესი ნაწილი საერთოდ არ მიდის ქვეყნის ეკონომიკაში, ეს, ძირითადად, ის კრედიტებია, რაც ჩვენს მოსახლეობას აწევს მძიმე ტვირთად, იპოთეკური სესხები, რაღაც განვადებები, 9-10%-ია სამშენებლო ბიზნესში და სასოფლო-სამეურნეო პროგრამებში. ბანკების მოგება ყოველწლიურად იზრდება, ქვეყნის ეკონომიკა კი არ ვითარდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სესხებზე ძალზე მაღალი საპროცენტო განაკვეთია, შეუძლებელია კლიენტმა ისე თავისუფლად და სრულფასოვნად იურთიერთოს ბანკთან, როგორც ევროპაშია. თუ ამას დავამატებთ შიდა და გარე ფაქტორებს, ანუ იმ არასტაბილურობას, რაც საქართველოსა და მთელს რეგიონშია, ძლიერი დასავლელი ინვესტორები ერიდებიან აქ შემოსვლას. ძირითადად წვრილი აზიური ფინანსური ორგანიზაციები, ფიზიკური და იურიდიული პირები შემოდიან. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ბანკი და ბანკირები მართავენ.

– ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის წინადადებამ მათთვის იმუნიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებით, მმართველი გუნდის წევრებშიც გამოიწვია უკმაყოფილება. თქვენი აზრით, რატომ ითხოვენ ამ „ხელშეუხებლობას“?

– ჩემი აზრით, მათთვის იმუნიტეტის მინიჭება რისკის შემცველია, რადგან ნაცმოძრაობის დროს ვიხელმძღვანელოთ, რომელთაც აწყობთ სებ-ის ხელმძღვანელობის თანამდებობაზე შენარჩუნება? ამ უკანასკნელთ ეტყობა ვალდებულება აქვთ აღებული „პარტნიორებთან“, თანამდებობაზე თუ დიდხანს ვიქნები, იმ პოლიტიკას გავატარებ, რაც სარგებელს შეგინარჩუნებთო. ხომ ხედავთ რა ამბავი ატყდა მმართველი ძალის ინიციატივაზე, ბანკებს არაპროფილური საქმიანობა ავუკრძალოთო.

თავისთავად ცხადია, ბანკების არაპროფილური საქმიანობა მიუღებელია, რადგან დიდ პრობლემას ქმნის. თუ ევროპაზე გვაქვს სწორება, ევროპის ოჯახის წევრად ვთვლით თავს და პროფესიონალიზმის თვალსაზრისითაც იქაური ყველაფერი მოგვწონს, მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპაში არცერთი თავმოყვარე ბანკსი არ ეწევა არაპროფილურ საქმიანობას. ქართული ბანკებს კი უამრავი კომპანიები აქვთ, თანაც ყველა სფეროში, იქნება ავტოჰაუზები, სერვისცენტრები თუ სხვა.

– ხელისუფლებამ „ქართული მარშის“ ორგანიზატორებს სიცრუის გავრცელებაში დაგდოთ ბრალი, მოსახლეობას ატყუებენ, ახალი კანონპროექტი ბანკებს ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისების აკრძალვას არ უხსნისო.

– ჩვენი ორგანიზაციიდან პირველმა მე მოვისმინე „რუსთავი-2“-ის ეთერიდან პარლამენტარების მოსაზრებები, საუბარი იყო ბანკებზე დ აიმ გამონაკლის შემთხვევებზე, როცა მთავრობა სასოფლო-სამეურნო მიწებს უცხოელებზე გაასხვისებდა. საზოგადოების შეშფოთების ძირითადი მიზეზი სწორედ ეს იყო. მერე პარლამენტარებთან ჩვენი პირადი თუ მედიის საშუალებით კომუნიკაციის დროს ისე ჩამოყალიბდა, რომ მორატორიუმი ძალაში რჩება, ჩვენ ბანკებისგან ერთადერთი იმას ვითხოვდით, ორი წლის განმავლობაში გაასხვისონ მათ მფლობელობაში არსებული მიწები, ოღონდ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზეო. თუ საქართველოს მოქალაქეებზე გაასხვისებენ, ცხადია, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. „რუსთავი-2“-მა რა თქვა, ამასაც რომ თავი დავანებოთ, იქ ღიად იყო მსჯელობა, ხელისუფლებას თუ აქვს უფლება მიწა უცხოელებზე გაყიდოს, გლეხს რატომ არ უნდა ჰქონდეს ეს უფლებაო. ვფიქრობ, ძირითადად ეს იყო დაკვეთა იქიდან გამომდინარე, რომ ბანკებს ჰქონდათ სურვილი და მოთხოვნა, მათ მფლობელობაში არსებული მიწები, მთავრობის მეშვეობით უცხოელებისთვის მიეყიდათ და აქაც ფული ეშოვნათ. ჯერჯერობით, ეს კანონპროექტი არ მიუღიათ, ჩვენ საზოგადოებასთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ პარლამენტსა და მთავრობას ეყოს გამბედაობა და ეს კანონი არ მიიღონ. სწორედ აქედან გამომდინარე, „ქართული მარში“ საზოგადოებასთან ერთად გადადგამს უპრეცედენტო ნაბიჯს, სახელმწიფო კანცელარიასთან სასიკვდილო შიმშილობას ვაცხადებთ, მოშიმშილეების ის რაოდენობა ვიქნებით, რაც მსოფლიოს არ ახსოვს. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ამ კანონპროექტის არმიღება იქნება, კონსტიტუციაში მკაფიოდ უნდა ჩაიწეროს, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება, ეს არის ქართველი ხალხის დაკვეთა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ძლიერი რეგიონები

წყალტუბო

სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია წყალტუბოში

ქალაქ წყალტუბოში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით, გამსახურდიასა და ყაზბეგის ქუჩებზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წლის მაგისტრალებისა და ქსელების კილომეტრიან მონაკვეთს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად სასმელი წყლით უზრუნველყოფილია 40 ოჯახი.

საქარიქედზე გზის მშენებლობა დაიწყო

„გზა ყველა სოფელს“ — ამ პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საქარიქედზე, ცენტრალური საავტომობილო გზის 2200 მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდება — 4 მ. სიგანის გზაზე 16 სმ. სისქის ბეტონი დაიგება.

პირველ ეტაპზე, სოფელში ბეტონის საფარი 1 კმ-სა და 300 მეტრზე მოეწყობა. პროექტი გარდამავალია და გზის დარჩენილ მონაკვეთს რეაბილიტაცია მომავალ წელს ჩაუტარდება.

ახალი ტიპის გარე განათება დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში, ე.წ. ცალმხრივებზე დამონტაჟდა ახალი ლედტიპის სანათები (100w), რომლებიც ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს. ახალი ტიპის სანათები სიმძლავრით ბევრად აღემატება აქამდე არსებულ ქუჩის სანათებს. იგი სულ მალე მუდმივად გაანათებს ე.წ. ცალმხრივების ტერიტორიას.

დუშეთი – სახალისო ფეხბურთის პირველი სავარჯიშო გაკვეთილები

2003 წლიდან საქართველოში წარმატებით ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის (ჩჩPA) პროექტი — „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“, რომლის მიზანია მომავალ თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ფეხბურთის პოპულარიზაცია.

ამ პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, მიმდინარე წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან დაფუძნდა „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა“. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, შეძენილია საჭირო ინვენტარი იმისთვის, რომ სკოლამ გაკვეთილების სისტემატური ჩატარება უზრუნველყოს.

ქ. დუშეთში, „ოლიმპიური სახლის“ საფეხბურთო მოედანზე „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის“ ორგანიზებით უკვე გაიმართა პირველი სავარჯიშო გაკვეთილები, რომლებშიც 7-იდან 13 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ. თითოეულ მონაწილეს გადაეცა სპორტული ფორმები და მაისურები, დარიგდა აგრეთვე სავარჯიშო ბურთები.

ამბროლაური-ჭრებალოში კულტურულ-საგანმანათლებლო კომპლექსი შენდება

ჭრებალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭრებალოში საავადმყოფოს ძველი შენობის ადგილზე ახალი კულტურულ-სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. კომპლექსი ექსპლუატაციაში 2017 წლის გვიან შემოდგომიდან შევა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

• ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სოფლის მცხოვრებლები ესწრებოდნენ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 1300-ით შეივსო, ხოლო გამგეობამ ბიბლიოთეკას საჩუქრად 100 წიგნი გადასცა.

2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 4 ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკების ფონდი 8266 წიგნით შეივსო.

უახლოეს მომავალში ახალი ბიბლიოთეკების გახსნა ორულუში, რიყესა და დიდინექში იგეგმება.

• ამ ეტაპზე, შიდასაუბნო გზები ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სვანებისა და ზემო სათორდიოს უბნებში მოწესრიგდა. 48-ავე ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზები ეტაპობრივად რეაბილიტირდება, რისთვისაც 500 ათას ლარამდე იხარჯება.

დუშეთი

სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი ფოთში

ქალაქ ფოთის ცენტრალურ პარკში, საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ორგანიზებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, „სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი“ გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო ეკოლოგიურად სუფთა ხის პროდუქცია, ტრადიციულ მოტივებზე შექმნილი ნივთები, ხელნაკეთი მისალოცი ბარათები, ნატურალური საკვები, წნული კალათები და ა.შ. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ახალგაზრდული კონცერტი ადგილობრივი ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით.

მარტვილი

აბაშა – გზების რეაბილიტაცია მარნის ადმინისტრაციულ ერთეულში

აბაშის მუნიციპალიტეტის მარნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. გარემონტდა ორი გზა: სოფ. მარნის ცენტრიდან სოფ. პირველი მაისისა და თხმელარის მიმართულებით. გზების საერთო სიგრძე 4675 მეტრია. პროექტი რეგიონული განვითარების პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა. 756 970 ლარის სამუშაოები სს „არქეოპოლისმა“ შეასრულა.

მარტვილი-სერგიეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა

ქ. მარტვილისა და სოფელ სერგიეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში დაიგება 1857 მეტრი ასფალტბეტონის საფარი, ასევე მოეწყობა გზის გადამკვეთი ლითონის მილები, ლითონის მილები ეზოში შესასვლელებში. ამ გზით არა მარტო სერგიეთის, არამედ აბედათის მოსახლეობაც ისარგებლებს

პროექტის ღირებულება 652 875 ლარია, სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია ათი ადგილობრივი. გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის ათ დაწესებულებას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ქალაქის №№1, 2, 3, 4 და ზანის საბავშვო ბაღების შენობებში ამ ეტაპზე, ძირითადად, სრულად რეაბილიტირდა სამზარეულო, სველი წერტილები და სასაწყობე ოთახები.

ოქტომბრის დასაწყისისთვის, ზემო ჭალადიდისა და გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში – თანამედროვე სტანდარტების ორი ახალი საბავშვო ბაღიგაიხსნება.

ჩხოროწყუს გამგეობისთვის საბავშვო ბაღების მშენებლობა პრიორიტეტია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და ძველის აღდგენა გამგეობის ერთ-

ძლიერი საქართველოსთვის

ბორჯომი

ერთი პრიორიტეტია. უკვე აშენებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხუთი საბავშვო ბაღი, მიმდინარეობს კიდევ ორის მშენებლობა.

ამ დროისთვის ჩხოროწყუს საბავშვო ბაღებში 1027 ბავშვი ირიცხება.

წალენჯიხაში ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

ქ. წალენჯიხაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკვლის ჩაყრა. პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 284800 ლარია და რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის ფარგლებში სრულდება. დასაქმებულია 30-მდე მუშახელი. ეს იქნება ერთჯგუფიანი, ერთსართულიანი ევროპული სტანდარტების დონის შენობა, რომელიც 25 აღსაზრდელზეა გათვლილი.

პროექტი გარდამავალია და მომავალი წლის სექტემბრის დასაწყისში დასრულდება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში

• **გზების კეთილმოწყობის სამუშაოები** — სოფელ ყვიბისის ორ უბანში გზების კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რკინაბეტონის საფარი 1250 მ სიგრძის მონაკვეთზე ციცქიშვილების, ხაჩიძეების უბნებში და გვარამაძეების ჩიხში დაიგება.

პროექტის მიხედვით, ციცქიშვილების უბანში გათვალისწინებულია ასევე ბეტონის ღარებისა და ლითონის ცხაურების მოწყობა. პროექტის ფარგლებში გზა იგება სოფლებში მზეთამზესა და ქვაბისხევში. საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები უკვე დასრულებულია სოფელ რველში.

გზების კეთილმოწყობა მიმდინარეობს აგრეთვე დაბა ახალდაბაში და სოფელ კორტანეთში. ახალდაბაში ასფალტი იგება აღმაშენებლის ქუჩის 1200 მ სიგრძის მონაკვეთზე. გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ასევე ვაჟა-ფშაველას I და II მონაკვეთებზე. რუსთაველის ჩიხში, რიკაძეებისა და კაპანაძეების უბანში, სოფელ კორტანეთში რკინაბეტონის საფარი იგება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ საკურორტო ზონაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.

რუსთავის №41 საბავშვო ბაგა-ბაღის ენერგოეფექტური რეაბილიტაცია დასრულდა

ევროკავშირისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ააიპ „მდგრადი განვითარების და პოლიტიკის (SDAP) ცენტრმა“, 2015–2017 წლებში, ევროკავშირისა და, მერების შეთანხმების „სადემონსტრაციო პროექტების“ (CoMDeP) ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, განახორციელა პროექტი — „ქალაქ რუსთავში სამი საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტის მიღებისა და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების მიზნით“.

808 765 ევროს ღირებულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქ რუსთავში №6, №40 და №41 საბავშვო ბაღების თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებითა და სისტემებით აღჭურვას, ევროკავშირმა 646 527, ხოლო რუსთავის მერიამ 162 238 ევროთი დააფინანსა.

დმანისი

პროექტის ფარგლებში სამივე ბაღში დამონტაჟდა ენერგოეფექტური კარ-ფანჯარა თბოსაიზოლაციო ფირებით, ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყლის მოსამარაგების სისტემები (მზის კოლექტორებთან კომბინაციაში), სავენტილაციო და ახალი ელექტროტექნიკური სისტემები. შენობის გარე კონსტრუქციების (კედლები, სახურავი, იატაკი, სარდაფი, ჭერი) თბოსაიზოლაციო ფილებით არის დათბუნებული.

ბოლნისი – სოფელ რატევანში სასმელი წყლის სისტემა რეაბილიტირებულია

სოფელ რატევნის ერთ-ერთ უბანში ახალი სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა დასრულდა. რამდენიმე ათეული წელია, სასმელი წყლის ძველი მილები მწყობრიდან არის გამოსული, რაც წყლის დანაკარგს იწვევდა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ 240 მეტრის მონაკვეთზე ახალი პოლიეთილენის მილები ჩააწყო. პროექტის დასრულების შემდეგ 300-მდე ოჯახს წყალმომარაგება საგრძნობლად გაუუმჯობესდება.

სოფელ ტანძიაში ახალი გარეგანათების შისტემა დამონტაჟდა

2017 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტთა ნუსხაში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაციისა და ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოებიც შევიდა.

ამჟამად სოფელ ტანძიაში, ე.წ. ზემო ტანძიამდე მისასვლელ გზაზე გარე განათების ქსელის მონტაჟი მიმდინარეობს, რომელიც ენერგოეფექტური ლედ-ნათებებით აღიჭურვება. პროექტის ფარგლებში, გზის 800-მეტრიან მონაკვეთზე 24 ლამპიონი დამონტაჟდება, რაც ადგილობრივებს უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალებას მისცემს.

ბოლო ორ წელიწადში გარე განათების ქსელი რეაბილიტირებულია შემდეგ სოფლებში: რაჭისუბანში, დისველში, რატევანში, ნახიდურში, ჭრეშში, წიფორში, ქვემო ბოლნისში, კიანეთში, ბალიჭში.

პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ახალი სასწავლო წელი დმანისის რეაბილიტირებულ საბავშვო ბაღში

დმანისში რეაბილიტირებულ საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი განახლდა. №1 საბავშვო ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები: გასუფთავდა ოთახების კედლები ძველი ნალესისგან და ხელახლა შებათქაშდა, გაყვანილია ახალი ელექტროქსელი, იატაკებზე დაგებულია ლამინატი, შეძენილია ახალი ინვენტარი.

ბაღის ეზოში ჩატარდა სამუშაოები დამატებითი სადრენაჟო სისტემის მოსაწყობად, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო — შენობის ქვედა სართულზე გრუნტის წყლები აღარ გროვდება.

ეზოში ბილიკებზე დაიგო ბაზალტის ქვა, დამონტაჟდა გასართობი ატრაქციონები, საჩრდილობლები, დაიდგა სკამები, გამოიცვალა ძველი ამორტიზებული ჭიშკარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფორმაციით მომავალი წლისთვის შენობისა და ეზოს სრული კეთილმოწყობა იგეგმება.

რუსთავი

ვინ გაიტანს ბომბებს ქალაქიდან?

საბურთალოდან მომავალი, ვახუშტის ხიდს რომ გადმოივლი, პირდაპირ ბენზინგასამართ სადგურს ეჯახები, რომელიც ზედ ხიდის თავთან დგას.

მარტო ბენზინგასამართი სადგური არ არის აქ — ავტომომსახურების მთელი კომპლექსია — ავტოსამრეცხაო, ავტომობილის შემკეთებელთა ბოქსები და ა. შ.

არა მარტო ხიდის თავთან დგას ეს კომპლექსი, არამედ მთელ გზაჯვარედინს კეტავს.

დიახ, იქ, სადაც ეს კომპლექსი დგას ახლა, ამ ოციოდე წლის წინათ ქუჩა იყო, რომელიც მარჯვენა და მარცხენა ზოლებს ერთმანეთთან აკავშირებდა, და ამასთან ერთად, მტკვრის სანაპიროზე სწორედ ამ მონაკვეთის გავლით შეიძლებოდა მოხვედრილიყავი, ვიღაცამ კი აიღო და ზედ ქუჩაზე, ხიდის თავზე, გზაჯვარედინის ცენტრში ბენზინგასამართი სადგური ააშენა.

დარწმუნებული ვარ, მსგავს უტიფრობას და თავხედობას მსოფლიოს ვერც ერთ ქალაქში ვერ ნახავთ, ნახავთ მხოლოდ თბილისში.

აქ რაიმე რომ მოხდეს (არადა, ისეთი სიტუაციაა, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება) მთელი უბანი ისე გადაიბუგება, თითს ვერავინ გაანძრევს.

ვიღაცამ ააშენაო, ვთქვით ზემოთ...

კი, ბატონო, ვიღაცამ ააშენა, მაგრამ ამ ქალაქს პატრონი არ გყავდა, რომ იმ ვიღაცისთვის ამ საშინელების გაკეთების უფლება რა მიეცა?

„გალფი“ აწერია ამ ობიექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ობიექტი ძლევამოსილ, ყოვლისშემძლე და ყველაფრის მკისრებელ დავით კეზერაშვილს ეკუთვნოდა, ეს კი, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ თბილისის ძველი მერი გიგი უგულავა ხიდის თავთან დადგმულ ამ ბომბს ვერ დაინახავდა, მაგრამ რატომ ვერ „დაინახა“ იგი ქალაქის ახალმა მერმა, პატიოსანმა და წესიერმა დავით ნარმანიამაც?

უგულავას კეზერაშვილთან პარტიული ყონაღობა უშლიდა ხელს, ეს რომ დაენახა, მაგრამ ნარმანიას რამ შეუშალა ხელი?

უგულავას და ნარმანიას თავი დავანებოთ, რატომ ვერ შეამჩნია ხიდის თავთან, გზაჯვარედინის ცენტრში დადებული ეს ნელი მოქმედების უშველებელი ნაღმი თვითმმართველობის არჩევნების წინ

თბილისის მერობის ვერც ერთმა კანდიდატმა?

საქმე მხოლოდ ამ ერთ ბენზინგასამართ სადგურს არ ეხება — მთელი თბილისი დაქსელილია უსაფრთხოების ნორმების სრული იგნორირებით აშენებული უამრავი მსგავსი ობიექტით.

სად არ ნახავთ ამ ობიექტებს — საცხოვრებელი კორპუსების გვერდით, ცენტრალურ ქუჩებზე, სკვერებთან, ბაღებთან, სკოლებთან, საბავშვო ბაგა-ბაღებთან, ბაზრობებთან, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან, სადაც უამრავი ხალხი ტრიალებს.

თბილისი ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია მთელ ევროპაში, სადაც ცხოვრება, კარგა ხანია, ჯანმრთელობისთვის სახიფათო რისკებს შეიცავს.

ეს ყველასთვის ცნობილი ამბავია და ცნობილი ამბავია თბილისის მერობის კანდიდატებისთვისაც, რომლებიც თავიანთ დაპირებებში პირობას იძლევიან, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს მიხედავენ და თბილისს მწვანე, სიცოცხლით სავსე ქალაქად აქცევენ, მაგრამ როგორ აპირებენ ამის გაკეთებას, როცა სიტყვას არ ძრავენ ამ უმწვავესი პრობლემის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე — ქალაქის ცენტრალურ უბნებში გაფანტულ უამრავ ბენზინგასამართ სადგურზე, რომლებიც ქალაქის ეკოლოგიური დაბინძურების უპირველესი წყაროა.

რას ვაპირებთ ჩვენ — თბილისი ვაქციოთ მწვანე ქალაქად, სადაც ბენზინგასამართი სადგურების „კოტეჯები“ იქნება ჩადგმული, რომლებიც მომწამვლელი ნივთიერებების „სურნელებით“ და „არომატით“ გაჟღენთს და „დაატკბობს“ ამ მწვანე წალკოტს?

გამოდის, რომ, რასაც ჩვენი ღრმად პატივცემული კანდიდატები ლაპარაკობენ, მხოლოდ ფუჭი სიტყვებია, რომლებსაც კონკრეტული საქმეები ვერ მოჰყვება, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავს, წინ წამოსწიოს ის თემა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ.

ბიზნესის წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ ბიზნესი, რომელიც მთელ ქალაქს აზიანებს და უამრავ ადამიანს საფრთხეს უქმნის, ბიზნესი კი არა, ბოროტებაა.

ზემოგების მიღების ავადმყოფური სურვილი, წრეგადასული სიხარბე ბუმერანგივით უბრუნდება ბიზნესს და, ხშირ შემთხვევაში, ანადგურებს მას.

სიხარბის გამო მოხდა ის, რომ ვაკე, ერთ დროს პრესტიჟული და ელიტარული უბანი, დღეს, ფაქტობრივად, უვარგისია საცხოვრებლად.

იგივე საფრთხე ემუქრება თბილისის სხვა ცენტრალურ უბნებსაც.

საცხოვრებლად უვარგისია სპორტის სასახლის მიმდებარე ალექსიძის ქუჩის რკინა-ბეტონის ჯუნგლები — ნამდვილი კოშმარი, ადამიანთა უგუნურების, სიხარბის, ეგოიზმის შემაძრწუნებელი „შედეგრი“.

ნუ ვიზამთ ისე, რომ გვქონდეს ქალაქი, მაგრამ ეს ქალაქი საცხოვრებლად არ ვარგოდეს.

ნუ ვიზამთ ისე, რომ მავანთა და მავანთა უგუნურების წყალობით, რომელსაც მათ ენაზე ბიზნესი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში ეს ბიზნესი კი არა თვითგანადგურება და თვითლიკვიდაციაა, ეს ოდესღაც მართლაც სიცოცხლით სავსე ქალაქი ერთ დიდ კრემატორიუმად იქცეს.

ვინ გაიტანს ბომბებს ქალაქიდან, ვინ განაღმავს ამ ქალაქს? — მეეჭვება, ამ კითხვებს მოახლოებულმა თვითმმართველობის არჩევნებმა პასუხი გასცეს.

გიორგი გამეზარდაშვილი

ემუქრება თუ არა დედამიწას უცხოპლანეტელების შემოსევა?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N33)

ბიბლიის ამ ადგილის ამგვარი გაგების დამატებით მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს ის, რომ, ამ სიტყვების შემდეგ ბიბლია მოგვითხრობს ნეფილიმებზე. ხოლო ნეფილიმებზე მსჯელობის შემდეგ ბიბლია გვამცნობს დაცემული კაცობრიობის წარღვნით მოსპობაზე: „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა. ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად, და შეწუხდა. თქვა უფალმა: მიწის პირისაგან აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმენი, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე“ ...ზოგიერთი თანამედროვე ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ დაცემულ ანგელოზებს დედამიწაზე შეუძლიათ ისარგებლონ დაცემულ ადამიანთა სხეულებით, რათა შვან ვნებიანი და გარყვნილი შთამომავლობა (როგორც არის ეს ნათქვამი დაბადების წიგნის 6-ე თავში: „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო

მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა“.განმარტება, რომლის მიხედვითაც, დაბადების 6-ე თავში მოხსენიებული „ღმრთის შვილები“ ანგელოზები არიან, ფართოდ იყო მიღებული ქრისტეანული ეპოქის პირველ საუკუნეებში. ასეთი გაგება მიღებული იყო როგორც იუდეველი კომენტატორების (ფილონი), ასევე ეკლესიის ისეთი ადრინდელი მამების მიერაც, როგორებიც იყვნენ: წმ. იუსტინე ფილოსოფოსი, ნეტ. ირინეოსი, ათენაგორა, ტერტულიანე, კლიმენტ ალექსანდრიელი, წმ. ამბროსი მედიოლანელი.მაგრამ IV საუკუნიდან საეკლესიო ლიტერატურაში გავრცელდა ბიბლიის ამ იდუმალებით მოცული ადგილის სხვაგვარი გაგება: „ღმრთის შვილები“ – არიან ადამისა და ევას მესამე შვილის, ღვთისმოსავი შეთის, ენოქისა და ნოეს წინაპრის შთამომავლები. ხოლო „ადამიანთა ასულები“ – ადამისა და ევას პირველი შვილის, ძმისმკვლელი კაენის ცოდვილი შთამომავლები. ასე განმარტავენ ამ ადგილს წმ. იოანე ოქროპირი, ეფრემ ასურელი, ნეტ. თეოდორიტე, კირილე იერუსალიმელი, ნეტ. იერონიმე და ნეტ. ავგუსტინე.ადრინდელ ქრისტეანებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ენოქის წიგნი, რომელიც ახლა აპოკრიფად ითვლება. ამ წიგნიდან ჩანს, რომ „ღვთის შვილები“ იყვნენ „ანგელოზები, რომლებიც ციდან დედამიწაზე ჩამოვიდნენ და ადამიანთა შვილებს ასწავლეს ის, რაც დაფარული იყო მათთვის, და ცოდვათა ჩასადენად წააქეზეს ადამიანთა შვილები“ (ენოქი 10:64). ანგელოზები (რომლებიც ენოქის წიგნსი „ცის დარაჯებად“ იწოდებიან) დანაშაულებრივ კავშირში შევიდნენ მათ მიერ ცთუნებულ ადამიანთა ასულებთან და ასწავლეს მათ ჯადოქრობა (მაგია), ასტროლოგია, შეფუცვები, ათასგვარი „ანგელოზური საიდუმლონი“ და „დემონური ძალმოსილებანი“ (სხვა თარგმანის მიხედვით – გამოგონებანი), რის შედეგადაც დედამიწაზე „გაჩნდა უდიდესი უკეთურება“ (ენოქი 2:15).ვ.ჰ. ვიხლიანცევის „ბიბლიურ ლექსიკონში“ მითითებულია, რომ მართალი ენოქი, რომელიც „მეშვიდე იყო ადამითგან, ამხელდა მის თანამედროვე მსოფლიოს და მომავალი სამსჯავროს შესახებ აფრთხილებდა. ენოქი ღმერთმა აიყვანა ცაში ისე, რომ მას სიკვდილი არ განუცდია. ძველი მწერლები მას პირველ მეცნიერად მიიჩნევდნენ, რომელმაც გამოიგონა დამწერლობა, ანგარიში, და დასაბამი მისცა ასტრონომიას. ქრისტეს შობამდე II საუკუნედან ქრისტეს შობის, ანუ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნემდე, ფართოდ იყო ცნობილი წიგნი მისი სახელწოდებით, რომელიც ბიბლიის კანონში არ შევიდა. ეს წიგნი XVIII საუკუნეში იპოვეს აბისინიაში (ამჟამინდელი ეთიოპია). აღმოჩნდა, რომ ენოქის წინასწარმეტყველება, რომელიც გადმოცემულია წმ. მოციქულ იუდას ეპისტოლეში (იუდ. 14–15) სიტყვასიტყვით არის აღებული ამ წიგნიდან, სადაც ენოქისა და ნოეს პირით ლაპარაკია სამყაროზე, რომელსაც ღმერთი მართავს, მესიის (ქრისტეს) პიროვნებასა და ღვაწლზე, ასევე უკანასკნელ სამსჯავროზე. ეკლესიის მამები თითქმის ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ ენოქი და ილია არიან სწორედ ის ორი ზეთისხილი და სასანთლე, რომლებზეც ლაპარაკია იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში (გამოცხ. 11:3–12).ენოქის წიგნს იმოწმებდნენ კლიმენტ ალექსანდრიელი, ორიგენე, ტერტულიანე, ასევე ბარნაბას არაკანონიკური ეპისტოლეს ავტორი; ეს უკანასკნელი ენოქის წიგნს წმიდა წერილის ნაწილადაც კი მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, წმიდა წერილის კანონის ჩამოყალიბების დროს, ენოქის წიგნის ავტორიტეტი ჩაქრა, ტექსტი კი დაიკარგა. ის ხელმეორედ მხოლოდ 1773 წელს იპოვეს ეთიოპიურ (ამხარა) ენაზე, ორმაგი თარგმანით არამეულიდან ანუ ძველებრაულიდან ბერძნულ ენაზე, სამაგიეროდ მთლიანად, რაც უდიდესი იშვიათობაა. ამის შემდეგ ახმიმში (ეგვიპტე) გათხრების დროს იპოვეს ბერძნული ტექსტის ორი დიდი ფრაგმენტი, ხოლო ყუმრანში (პალესტინა) – არამეული ფრაგმენტების უამრავი რაოდენობა. მათი შედარება შესაძლებლობას იძლევა ეთიოპიურ ენაზე არსებული ტექსტი აუთენტიურად მივიჩნიოთ. ენოქის წიგნის რუსული თარგმანი გერმანულიდან შეასრულა და კომენტარები დაურთო დეკანოზმა ალექსანდრე სმირნოვმა. წიგნი გამოქვეყნდა 1888 წ. ყაზანში. ახალ აღთქმაში ენოქის წიგნზე ირიბად უთითებს წმ. მოციქული პეტრე: „რადგან თუ ღმერთმა არ დაინდო შემცოდე ანგელოზები, არამედ ბნელეთის ბორკილებით შეკრა და ჯოჯოხეთში ჩაყარა ისინი განკითხვის დღემდე დასამარხავად“ ის, რომ აქ მხედველობაშია ანგელოზთა ის დაცემა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის წარღვნამდელ პერიოდში მოხდა, დასტურდება მოციქულის იმ სიტყვებით, რომლის თანახმადაც „თუ არც ძველი ქვეყანა დაინდო, არამედ იხსნა მხოლოდ სიმართლის ქადაგი – ნოე, რვა სულთან ერთად, როცა წარღვნა მოუვლინა ულმრთოთა ქვეყანას“ (2 პეტრე. 2:5) მოციქული იუდაც ამბობს, რომ „ღმერთმა ეგვიპტის ქვეყნიდან იხსნა თავისი ხალხი, შემდეგ კი შემუსრა ურწმუნონი. ხოლო ანგელოზები, რომლებმაც არ დაიცვეს თავიანთი დასაბამიერობა, არამედ დაუტევეს თავიანთი სავანე, საუკუნო ბორკილებით შეკრულნი, ქვესკნელის წყვდიადში გამოამწყვდია რათა განეკითხა დიად დღეს“ (იუდ. 5–6). სწორედ ამგვარ გამონათქვამებშია წარმოდგენილი ეს თემა (ანგელოზთა დაცემა და დასჯა) ენოქის წიგნშიც, რომლის ციტირებისას მოციქული იუდა მომდევნო მუხლებში წერს: „მათთვის იწინასწარმეტყველა ენოქმა, მეშვიდემ ადამის შემდეგ, რომელმაც თქვა: აჰა, მოვიდა უფალი მისივე წმიდათა სიმრავლით, რათა განსაჯოს ყველანი და ამხილოს ულმერთონი მათივე უღვთო საქმეთა და ღვთისმგმობლურ სიტყვათა გამო, მის მიმართ რომ იტყოდნენ უღვთო ცოდვილნი“

ენოქის წიგნის მიხედვით, დაცემულმა ანგელოზებმა, რომლებიც საკუთარი ამპარტავნებით ისე იქცეოდნენ, „თითქოსდა თანასწორნი ყოფილიყვნენ ღმრთისა“ (ენოქი 11:33), ადამიანებს არა მარტო მაგია, ჯადოქრობა და ასტროლოგია ასწავლეს (ანუ ყოველივე ის, რაც ამჯერად არსებობს ინდუიზმში, ბუდიზმში, კრიშნაიზმსა და სხვა „აღმოსავლურ რელიგიებსა და სულიერ პრაქტიკებში“, არამედ თეოსოფიაშიც, მასონობასა და სხვა ოკულტური სწავლებებში, რომლებიც „დაფარულ სიბრძნედ“, „საიდუმლო ცოდნად“ თუ „ტიბეტელი ლამების საიდუმლოებებად“ და ა. შ. იწოდება), არამედ სხვა მრავალ „პრაქტიკული გამოგონება“ და „ხელოვნებანიც“. აი ზოგიერთი მათგანი: „მელნით წერა და ქაღალდის გამოყენება“, მეტალების მოპოვება და დამუშავება, იარაღის წარმოება, სამხედრო „ხელოვნება“, „ფესვების ამოცნობა“ (რომელიც, როგორც ჩანს, მიმართულია არა ჯანმრთელობისკენ, არამედ მაგიასთან შეერთებულ ნარკომანიისკენ), აბორტები, კოსმეტიკა, მორთულობა და მრავალი სხვა.ენოქის წიგნში მოტანილია დარაჯ-ანგელოზთა სახელებიც (1) და მითითებულია, თუ რა ასწავლა ყოველმა მათგანმა ადამიანებს: „და ასწავლა აზაზელმა ადამიანებს მახვილის, დანების, ფარებისა და მახვილების გამოდნობა (აი, საიდან იღებს თავის დასაბამს ყოველგვარი საომარი იარაღის დამზადების ხელოვნება) და ასწავლა მათ ხედვა იმისა, რაც მათ უკანაა (ახლა ამას – „პარანორმალურ უნარებს“ უწოდებენ); ასწავლა აგრეთვე სამაჯურებისა და ათასგვარი მორთულობების („ბიჟუტერიის“) კეთება; ასწავლა ფერ-უმარილის გამოყენება და ყოველგვარი კოსმეტიკა, ძვირფასი და ლამაზი ქვებით მორთვა-მოკაზმვა, ფერად-ფერადი ტანისამოსით თავმოწონება და მიწის მეტალების გამოყენება. ამისგან წარმოიშვა უამრავი უკეთურება და მრავალი უჯერო საქმე, და სცოდავდნენ ადამიანები, და მათი გზები ძლიერ გაირყვნა“ (შეად. დაბ.: 6: 5 და 11–12: „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უსჯულოებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი გულისთქმა. წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო უსამართლობით. გადმოხედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე“).

ამეზარაკმა ადამიანებს ყოველგვარი შეფუცვა და ფესვების ამოცნობა გაანდო, არმაროსმა – წყევლათა განხსნა, ბარაკალმა – ვარსკვლავთმრიცხველობა, კოკაბელმა – ნიშების ამოცნობა; თემელმა ვარსკვლავთა დაკვირვება, ხოლო ასტრადელმა – მთვარის მოძრაობის გაანგარიშება“ (ენოქი 2:14–16). დარაჯმა-ანგელოზმა სახელად კაშდეა (კასდეა) „ადამიანებს აჩვენა სულთა და დემონთა ბოროტი დარტყმები (აი, საიდან მოდის „გათვალვა“, „წახდენა“, „გაფუჭება“, სამხედრო მაგია, აღმოსავლური ორთაბრძოლები და სხვა), და შობის დარტყმები დედის საშოში, რათა განთავისუფლებულიყვნენ მისგან (აქ უკვე ლაპარაკია აბორტებზე, „მშობიარობის ხელოვნურ შეწყვეტაზე“, არსებითად კი ყრმათა კვლის უმძიმეს ცოდვაზე), და სულთა დარტყმები, გველთა ნაკბენები (შხამები?), და დარტყმები, რომლებიც შუადღეს აღესრულება“.

დარაჯმა პენემემ „ადამიანთა შვილებს მწარისა და ტკბილის გარჩევა ასწავლა და აჩვენა მათ სიბრძნეთა საიდუმლოებანი. მანვე ასწავლა ადამიანებს მელნისა და ქაღალდის გამოყენება, და ამ გზით მრავალმა შესცოდა საუკუნითგან და დღემდე სცოდავს. რადგან ადამიანები შეიქმნენ არა იმისთვის, რათა მათ ამგვარი სახით, საწერ-კალმებითა და მელნით დაადასტურონ მათი ერთგულება (ანუ მართალი სიტყვა)“ (ენოქი 11:42–44). დაცემულ ანგელოზთა სწავლებებმა და უნარებმა ადამიანებს მრავალი უბედურება მოუტანა, „რადგან ადამიანი, ანგელოზთა მსგავსად მოწოდებული იყო შეენარჩუნებინა სიმართლე და უბიწოება, და სიკვდილი არ შეეხებოდა მას ეს მცნება რომ არ დაერღვია; ამჯერად კი ადამიანები თავიანთი ცოდნის მეშვეობით იხოცებიან“ (ენოქი 11:45). ამიტომაც: „გამოვიდა პირისაგან ღმრთისა განკარგულება მათ მიმართ ვინც მყარზე ცხოვრობს, რომ უნდა დადგეს მათი აღსასრული (მსოფლიო წარღვნა), რადგან მათ იციან ანგელოზთა ყველა საიდუმლო, ეშმაკთა ყოველგვარი მზაკვარება, და მათი დაფარული ძალა, და ძალა მათი, ვინც იქმს ჯადოქრობას, შეფუცვას და წყევლას; ძალა მათი ვინც მთელი დედამიწისთვის იქმს კერპთა გამოსახულებას; და ასევე უწყის როგორ მოიპოვება ოქრო-ვერცხლი მიწის წიაღიდან, და როგორც წარმოიქმნება თხევადი მეტალი დედამიწაზე“ (ენოქი 11:7).

აი ასეთი გამოვიდა წარღვნამდელი კაცობრიობის „ცივილიზაცია“: ოკულტიზმი, მეცნიერება, წარმოება, გარყვნილება, ძალადობა, ღმრთისმებრძოლობა... ყველა ამ მიმართულებით მიმდინარეობს გამალებული „განვითარება“ თანამედროვე „ცივილიზაციაშიც“, რაც გარდაუვალად აახლოვებს მის ტრაგიკულ დასრულებას – სამყაროს აღსასრულს და ღმრთის საშინელ სამსჯავროს, როდესაც ყოველი არსება თავისი ცოდვებისთვის განიკითხება. ხოლო პირველი სამყაროს დასასრული მსოფლიო წარღვნა გახდა, როგორც ეს არის ნათქვამი მოციქულ პეტრესთან, რომ „მაშინდელი სამყარო წყლით წაირღვნა და დაიღუპა“ და „ახლანდელ ცასა და მიწას კი ცეცხლისათვის ინახავს იგივე სიტყვა, რათა განკითხვის დღეს მოსრას უღვთონი“. ძველი და საღვთო წერილები, – წერს ფ.ფ. ზელინსკი თავის ნაშრომში „ჰერმეს სამგზისდიადი“, – ამბობენ, რომ ზოგიერთი ანგელოზები, რომლებიც ადამიანთა ასულებისადმი სურვილით აღიძრნენ, დედამიწაზე ჩამოვიდნენ და მათ ბუნების საიდუმლოებანი ასწავლეს; ამის გამო ისინი განიდევნენ ციდან და მუდმივად ხეტიალობენ ცისქვეშეთში. ამ დანაშაულებრივი კავშირისგან წარმოიქმნენ ბუმბერაზნი. წიგნს, რომლითაც ისინი „ხელოვნებებს“ სწავლობდნენ, „ჩემა„ ეწოდება; ამის გამო „ჩემა„ უპირატესად აღნიშნავს „ხელოვნებას“, განსაკუთრებით კი ქიმიას. „ჩემა„ ეგვიპტური სიტყვაა და ნიშნავს „გაშავებას“; ამჯერად კი ვფიქრობ გასაგები იქნება თუ რას ნიშნავს ისიდას სიტყვები, რომ ჰერმეს-კამეფისმა „პატივი მიაგო მას სიშავის სრულყოფილებით“, – ეს ნიშნავს, რომ სიყვარულის სანაცვლოდ „მას ქიმია ასწავლა“. და მართლაც, განსაკუთრებულად იცოდა ძველმა ეგვიპტემ ქიმია, ფლობდა ოქროსა და ვერცხლის გამოდნობის ხელოვნებას და კიდევ მრავალ სხვა საიდუმლოს ამ მეცნიერებისა“ (ფ.ფ. ზელინკი „ცხოვრება იდეებიდან“ **Из жизни идей. Т. III. 1908**).

ენოქის წიგნზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ის „ფანტასტიკური სამშენებლო ტექნოლოგიები“, რომელთა დახმარებითაც აშენდა წარღვნამდელი პირამიდები, ასევე დაცემულმა ანგელოზებმა ასწავლეს წარღვნამდელ კაცობრიობას.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

სახტად დარჩენილი მამაჩემი ერთხანს იდგა, მერე ჩვენს ოთახში შემოიხედა:

- მიხვდი, ხომ?

- მივხვდი, მივხვდი – ამოიოხრა დედამ – გააწამებენ მაგ ბიჭს ეს ველურები.

როცა ვიკითხე, რას მიხვდითმეთქი, მშობლებმა დამიცაცხანეს, არ არის შენი საქმეო. წლების მერე, როცა მერაბმა და ზვიადმა წამოიწყეს ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპი, ეს ამბავი გამახსენდა. მერაბმა თავისი საყვარელი საქმე მიატოვა იმიტომ, რომ ამზადებდა იმას, რაც შემდეგ მოხდა. როიალი დიდ დროს წაართმევდა და ამიტომ ტკივილით, მაგრამ მაინც, გამოემშვიდობა იმას, რაც მას მსოფლიო აღიარებას მოუტანდა. არ ვაზვიადებ, ნამდვილად ასე იქნებოდა. მერაბისგან დიდ პიანისტი დგებოდა.

აი საოცარი სცენა: მეორე დღეს, როცა მამა კონსერვატორის რექტორთან წასვლას აპირებდა, ჩვენს სახლში გულის ამოვარდნით მოვიდა (კი არ მოვიდა, შემოვარდა) თვით... კონსერვატორიის რექტორი და კომპოზიტორი, მამის ახლო მეგობარი იონა ტუსკია. არც მოგვსალმებია, ისე იყო აღელვებული. პირდაპირ ახალა დედაჩემს:

– თამა-ა-არა, დამეხმარე, გადაარწმუნე ის ბიჭი როგორმე! ლელი-იკო, ასეთი პიანისტი საქართველოს არც ჰყოლია, არც ეყოლება ათასი წელი! ნუ სჩადის დანაშაულს, ნუ აყვება სიზარმაცეს, ნუ ღუპავს ღვთით ბოძებულ ტალანტს, მთელი კონსერვატორია შეწუხებულია, ყველამ იცის მისი ფასი, ის მოვლენაა, ის პიანისტი კი არ არის მხოლოდ, ის დიდი მუსიკოსია! პიანისტები გვყავს ოხრად, ბევრი მართლაც ძალიან კარგია, მაგრამ მუსიკოსი, თანაც დიდი – არა გვყავს. დაარწმუნეთ – ბოზანდარა დედაკაცებს ნუ აყვება, თუ იქ დედაკაცია შუაში, ძველბიჭებსაც ნუ აყვება, თუ იქ ძველი ბიჭები არიან გარეულნი... რამ გაუტეხა გული ინსტრუმენტზე – არ ვიცი პირდაპირ...

იონა ტუსკია ტყვიამფრქვევით ისროდა ფრაზებს ისეთი ენერგიით, რომ სიტყვას ვერ ჩასვამდი.

მამამ დაიცადა ემოციებიდან დაცლა და იკითხა ისე, ვითომც არ იცოდა არაფერი:

- რა გადავაფიქრებინო და ვის?

- მერაბ კოსტავას გადააფიქრებინე მუსიკათმცოდნეობაზე გადასვლა და დაარწმუნე ისევ დაუკრას და გახდეს ის, რაც უკვე ხდება! ლელიკო, გთხოვ! ასეთი მონაცემები მე არ შემხვედრია არსად! ის მოივლის მთელი მსოფლიოს სცენებს, დაიპყრობს მსმენელს – როგორც ეგონ პეტრი ან თეოდორ ლეშეტიცკი, სახელს გაუთქვამს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს თბილისს, ჩვენს კონსერვატორიას, მეც ვიტყვი, რომ ტყუილად არ მიღვაწია, წყნარად წავალ საიქიოს...

- მოიცა, კაცო, ნუ გაგვაყრუე! – ვითომ გაბრაზდა მამაჩემი,– რა შუაში ვარ მე და რატომ გგონია, რომ მერაბი დამიჯერებს? ის არავის უჯერებს – საკუთარი მოსაზრებების გარდა...

ტუსკია ცოტა ჩაწყნარდა და სინანულით თქვა:

– თუ არ დაგიჯერებს, დიდ სიხარულს დაკარგავს მსმენელი, მსოფლიო გაღარიბდება...

- არ უნდა და ნუ უნდა! ძალად პიანისტობა არ გამიგია მე. შენც მორჩი ამ პათეტიკას – „მსოფლიო გაღარიბდება“, „სიხარულს დავკარგავთ“. მერაბმა რომ აღარ დაუკრას, ატომის ომი დაიწყება, როგორ გგონია?...

- იმასხარავეთ, ბატონებო, რა გენაღვლებათ, თქვენ რა გესმით რა არის დიდი მუსიკა და რა კავშირები მყარდება ამ დროს ღმერთთან. მერაბი ზეცას აღწევს, უმაღლეს სფეროებს. ახლა კი... რა იქნება მერაბი უმუსიკოდ? არაფერი! ალბად, გინდა კინოში წაიყვანო და კამერის წინ ატინგიცო – ქალები ხომ იფსამენ ასეთნაირებისათვის. – ტუსკია გაბრაზებული წამოხტა, გაიჯვარუნა კარი და ისიც, მერაბის მსგავსად, ბრახუნით დაეშვა კიბეებზე.

ჩემმა მშობლებმა ერთმანეთს შეხედეს. მამამ თქვა:

- მართალია ეს კაცი იმაში, რაც იცის... ნეტა ხვდება თუ არა მერაბის წასვლის ნამდვილ მიზეზს? მართლა საწყენია დიდი ხელოვანის დაკარგვა, მაგრამ ეს მერაბის არჩევანია. დატანჯავენ ბიჭს, მაგრამ ეს გზა – მისი გზაა.

დედას ცრემლები წამოუვიდა.

მერაბს მუსიკა არ მიუტოვებია. იმდენს არა, რამდენსაც როიალთან, მაგრამ მაინც შრომობდა. მისი სადიპლომო ნამუშევრის ხელმძღვანელად ჩემი ბიძა, მკაცრზე-მკაცრი მუსიკათმცოდნე პროფესორი ლადო დონაძე დანიშნეს. მან დაწერა ასე: “არც მერაბ კოსტავამდე და არც მას შემდეგ კონსერვატორიაში დიპლომი ასე არავის დაუცავს”-ო. დიპლომის დასახელება იყო “ბაირონი დასავლურევროპულ სიმფონიურ მუსიკაში”. ლადო დონაძემ, რომელსაც თავის საქმეში ყველაფერი ჰქონდა შესწავლილი პირდაპირ დედნებში – ევროპულ ენებზე, ჩვენ ასე გვითხრა: „მე რასაც ვიცნობ მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურას, არავის არ ესმოდა ასე ღრმად არა თუ სიმფონიური მუსიკა, არამედ ჯორჯ ბაირონიც“.

მე კი დღემდე მიტრიალებს თავში კეთილშობილი და აღელვებული რექტორის ფრაზა: „მერაბი მუსიკაში აღწევდა უმაღლეს სფეროებს. რა იქნება მერაბი უმუსიკოდ?“. მუსიკამ მართლაც დაკარგა ძალზედ ბევრი, რადგან მერაბმა მისთვის ვერ მოიცალა – მერაბმა საქართველოსათვის მოიცალა მხოლოდ. მან ჩვენი ზნეობის გადასარჩენად მოიცალა. რა იქნებოდა საქართველო უმერაბოდ? აუცილებლად მოიგონებდა ასეთს. თუ შესძლებდა ასეთი სრულყოფილების შეთხზვას...

რამდენიმე წლით ადრე:

იმ ჩვენს ძველ თბილისურ ეზოში, პირველ სართულზე ცხოვრობდა ხანშიშესული ცოლ-ქმარი – ფაცა კორძაია სილოვან ემხვარი, თითით საჩვენებელინ ინტელიგენტები. სილოვან ბაბუა ზუსტად ისეთი იყო, როგორიც იყო პიპინია „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“ – ასევე ეცვა, ასევე ლაპარაკობდა და ასეთივე არისტოკრატული იყო. ის ხომ აკაკი წერეთლის დის შვილიშვილი გახლდათ. დღედაღამ ბავშვებს გვიკითხავდა წიგნებს, გვიყვებოდა ამბებს, გვართობდა და გვაცინებდა. ნარდის თამაში უყვარდა მეზობლებთან, მაგრამ სულ აგებდა,– არ ჰქონდა აზარტი და კონცენტრაციას ვერ (ან არ) ახდენდა თამაშზე,– თამაშის დროსაც ჩვენ გვიყვებოდა ნაირ-ნაირ ამბებს და ხმამაღლა იცინოდა ჩვენთან ერთად. ბავშვები ძალიან განვიცდიდით მის გაუთავებელ დამარცხებებს და ვბრაზობდით, როცა უნდა ამდგარიყო, სხვისთვის დაეთმო ადგილი და წაგების ერთი მანეთი გადაეხადა დუჭირი პენსიიდან. ერთხელ გვითხრა: „წაგებებს ნუ განიცდით, შვილებო, ყველა აზარტული თამაშობა ქვესკნელიდან მოდის. არასოდეს არანაირ აზარტს არ აყვეთ და აზარტს გატაცებაში ნუ აურევთ. გატაცებით სიყვარული ღმერთიდან მოდის, აზრტი კი სიყვარულს გამორიცხავს და ჯინიან ბოროტებაში გადადის“-ო. ისეთს გეტყოდა, ბავშვიც კი ძალაუნებურად დაფიქრდებოდი.

ერთი შვილიშვილი ჰყავდათ, 17 წლის გამხდარი და აწოწილი გურამი, სულ გარე-გარე დაეხეტებოდა ძალზედ სერიოზული გამომეტყველებით, ვითომ რამე სერიოზულით ყოფილიყოს დაკავებული. ერთი-ორჯერ ამოვიდა ჩვენთან, მერაბს დაკვრის დროს გვერდზე დაუჯდა და რაღაცაზე დაუწყო ჩურჩული შეთქმულის სახით. მერაბიც ასევე პასუხობდა და დაკვრას განაგრძობდა. ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ უცბად მივხვდი, რატომ არ შეწყვიტა დაკვრა მერაბმა – სიტყვებს ფარავდა მუსიკით. მახსოვს, დედაჩემმა თვალები დამიბრიალა – გამობრძანდი აქეთ, რას მისჩერებიხარ ბიჭებს პირშიო. მე კი დავიწყე მიხვედრა, რომ გურამი არც მთლად უსაქმური ყოფილა და, რადგან მერაბი ასე ენდობოდა, ესე იგი რაღაცაში იყო საქმე...

ეს გურამი იყო გურამ დოჩანაშვილი. მას, მერაბს, ზვიადს და სხვებს ანტისაბჭოთა არალაგალური ორგანიზაცია „გორგასლიანი“ ჩამოუყალიბიათ და პროკლამაციების გაკვრა დაუწყიათ. ეს მაშინ თავგანწირვა იყო, თვითმკვლელობის ტოლფასი. მართლაც, ერთ საშინელ დღეს გავიგეთ, რომ ბიჭები დაუჭერიათ, გურამი კი სასიკვდილოდ დაუჭრიათ ზურგში – ყველა მიხვდა, რომ ეს საბჭოთა უშიშროების საქმე იყო. ვერ გადარჩებაო და ასეც უნდა მაგასო, აქაქნდნენ ზოგიერთნი, განსაკუთრებით ენაგადმოგდებული დედაკაცები, მაგაზე ვაჟკაცი ბიჭებიც კი ხვდებიან, რომ საბჭოთა სისტემას ვერასდროს მოერევიან და ეგენი ვინ მიგდიან ცხოვრებას რომ გვირევენო.

ჩემი მშობლები და რამდენიმე ჩვენიანი ფაცასა და სილოვანთან რომ ჩავიდნენ, ოლიკო დემურიაც მოვიდა და ფაცა კორძაიას მიუჯდა.

სილოვან ბაბუამ ცრემლით თვალზე თქვა, შვილებს გვიხოცავენო. უცბად ორივე ქალი, განსაკუთრებით კი გამხდარი, ნაზი, თითქმის გამჭვირვალე ფაცა ბებია კოცონივით აენთნო:

– ჩვენმა ბავშვებმა იციან, რას შესწირონ თავი! არ არის აქ საჭირო ტირილი და გლოვა! დაველოდოთ, თუ გურამი დაიღუპა, მერე ჩვენ ვიცით, უფროსებმა... თუ გადარჩა, ბავშვები თვითონ გვეტყვიან, რა გზას დავადგეთ... ჭკუის სწავლებას ნუ დავუწყებთ, ეგენი ჩვენსავით დაშინებულები არ არიან! ჩვენ ვიკითხოთ, საცოდავებმა, არაფრის იმედი რომ აღარა გვაქვს, თავის გადარჩენის ინსტინქტიც რომ დაგვაკარგინეს ამ ნადირებმა... ცრემლი არ დავინახოთ აქ...

რა ყოფილა ქართველი ქალი უკიდურესი უბედურების წინ – მაშინ ვნახე, ათი წლისამ, 1956 წლის დეკემბერში, ქ. თბილისში, ლერმონტოვის 25-ის პირველი სართულის პატარა, მოუწყობელ ბინაში.

დიდხანს ებრძოდა გურამი სიკვდილს და მაინც გადარჩა. გადარჩა ღვთის სასწაულით – ყველა სიკვდილის ჯინაზე, ყველა მოტლიკინის ჯინაზე, გადარჩა დიდი მწერლობისთვის – ჩვენთვის დიდი სიხარულის მონიჭებისათვის...

როცა ეს დღეები მახსენდება, ზნეობრივი ძალისა და უმოტივაციო სახარულის მოზღვავებას ვგრძნობ. ვხდები ბედნიერზე ბედნიერი და მინდა ყველას გავუზიარო ის, რაც ყველამ იცის უჩემოდაც: რა საოცრებაა ადამიანი, რა ამაღლებული, როგორი გამოუცნობი!

* * *

დავუბრუნდეთ „ლაზარეს თავგადასავალის“ გადაღებებს და გავიხსენოთ მსახიობები.

უსინათლო გიორგი – ავთანდილ მახარაძე. ავთოსთან მუშაობისას სულ გეშინია – ან ახლა გაუსკდება გული, ან ახლა. ეს არის ვულკანი, რომელიც ყოველ წუთს ისე იფრქვევა, დედამიწა იწყებს ტორტმანს. ფილმის ბოლო ეპიზოდში, ალბათ, ამიტომაც დავადეთ ხელ-ფეხს ბორკილები. ეს რომ არ გვექნა, მიგვფანტ-მოგვფანტავდა მსახიობებსაც და რეჟისორებსაც. პირველად მერაბ კოკოჩაშვილის „მიხაში“ გამოჩნდა. ეს ფილმი ინსტიტუტში გვანახეს სტუდენტებს, როგორც მაგალითი მოკლემეტრაჟიანი შედევრისა, ფორმის, აზრისა და იუმორის ერთიანობისა. ფილმში სიძე ითამაშა და შეძლო უმნიშვნელო როლისგან დასამახსოვრებელი სახე შეექმნა... მახსოვს, ქართლოსმა თავიდან შახტიკოტეს როლის შესასრულებლად მოიწვია. ავთომ შახტიკოტეს როლი კი მოიწონა, მაგრამ მორიდებით თქვა: ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, უსინათლოს როლს ამოვირჩევდიო. ჩვენთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ



პირველი ქართლოსი მიხვდა, რომ მის ნათქვამში იყო რაღაც უჩვეულო და ასევე მორიდებით ჰკითხა: აბა რას გააკეთებდი უსინათლოს ადგილზეო? და ავთომაც გააკეთა! ისე გაითამაშა სცენები, ქართლოსის თვალებში სიხარული ვიგრძენი: უსინათლო ნაპოვნია!... ქართლოსს მეტი სინჯი აღარ ჩაუტარებია...

ამ როლზე მუშაობისას ავთომ გარდასახვაზე უარი თქვა, უბრალოდ უსინათლო გახდა და მორჩა! ის თითქოს მართლაც ვერ ხედავდა, დაბერდა ჩვენს თვალწინ (28 წლისა!), გამათხოვრდა და სრულიად გულწრფელად ესაუბრებოდა არა გეგა კობახიძეს, არამედ ლაზარეს. ბიბლიურ ტექსტებს გარდასახვით თამაში არ უხდებაო, ყალბი გამოდისო, უნდა გჯეროდეს შენ თვითონ რასაც ამბობო. ავთო ამაში მართალი იყო. ის ხომ ბრძენკაცის როლს ასრულებდა. ასეთი როლები კი თითქმის ყოველთვის ყალბი გამოდის. ძალიან ძლიერი პროფესიონალი მსახიობი უნდა იყო, ყველასათვის ნაცნობი ჭეშმარიტებები ისე რომ თქვა, თითქოს შენამდე ეს არავის უთქვამს. ავთომ ეს მოახერხა. მისგან ისეთი სიმტკიცე, ისეთი თავდაჯერება და რწმენა იგრძნობა, გინდა არ გინდა უჯერებ და ემორჩილები. იფიქრებ, ალბად, ავთო ასეთია ცხოვრებაში. ის მართლაც ასეთია. თუმცა შეუძლია გახდეს სულ სხვანაირიც: ისეთიც, ლაზარეს წყალში რომ აბანავებს და ბავშვივით რომ უხარია, თითქოს თვითონაც იწმინდებაო; ისეთიც, სოფლის მოედანზე, ორომტრიალში დედინაცვალს როცა მიიკრავს გულზე – თითქოს სულში იძვრენსო; ისეთიც, რომ შეუძლია შინაგანი ძალით დედინაცვალი მონუსხულივით გაყინოს და შემდეგ გაშმაგებულმა მოიცილოს უსამართლო დედაკაცი და ამით ლაზარე გადაარჩინოს.

მაგრამ, მთავარი რაც ავთოშია – გულწრფელობაა. ავთო მახარაძე ბუნებით არის ალალმართალი და ღმერთისადმი მინდობილი. ეს გამოჩნდა იმ ეპიზოდში, როცა ლაზარესთან ერთად დადგა მთაზე და მიმართა მისთვის უხილავ მზეს (ან იქნებ ბრმები მართლაც ხედავენ მზეს?) წმინდა ბასილი დიდის ლოცვით:

- დიდება შენდა უფალო დაუსაწყისო, დიდება შენდა, უფალო ყოვლისა მპყრობელო, მეუფეო ცათაო და ყოველივე ხორციელისაო, რომელი დაფარულ კაცთასა მეცნიერ ხარ და გულთა და გონებათა მოქმედებანი უწყნი!.. მეუფეო, მოხედენ ვედრებასა ჩვენსა ზედა ჟამსა ამას და გევედრებით, მომიტევენ ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი, სიტყვითნი, საქმითნი და გონებითნი, ცნობითნი და უმეცრებითნი და მომმადლე ჩვენ მღვიძარე გონება, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი ნათელი, რომელი განანათლებ და წმიდაყოფ ყოველთა კაცთა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უსინათლო-ავთომ ილოცა ღმერთის მიმართ უდიდესი რწმენითა და სიყვარულით, მაგრამ თითქოს რაღაცნაირი ფარული სამდურავით, რაღაც გულის ჯავრითა და დათუთქვით. ეს გასაგებიცაა. ავთოს ასეც უნდა ეთამაშა. ის უსინათლოა, ბრმაა და გაღიზიანებას ამ უსამართლობით დროდადრო თავი ხომ უნდა გამოეჩინა. მისი ეს საიდუმლო გულისტკივილი უფრო მართალს ხდის მას... რაც მთავარია, უსინათლოს ლოცვამ უძლიერესი გავლენა მოახდინა ლაზარეზე: უსინათლოს ამ მეტად გულწრფელმა მიმართვამ ღმერთისადმი ლაზარეს გულში ღრმად ჩამარხა ის მადლი, ის კეთილი ენერგია, რომელიც გაიღვიძებს ამ ბავშვში შემდგომ...

ავთოსთვის აქტიორულ პროფესიაში საიდუმლო არ არსებობს. მახსოვს, ფილმის ბოლო ეპიზოდში, როცა ბორკილებდადებული უსინათლო შეხვდება ლაზარეს და როცა მიხვდება, რომ ლაზარე მედუქნე გახდა, ავთოს ვთხოვე ჩუმი საყვედური ჰქონოდა უსინათლო თვალებში. მას ლაზარე ნამუსზე უნდა აეგდო: ისე დამდურებულად უნდა მოტრიალებულიყო და ისე გაცლოდა ლაზარეს, რომ ბავშვს, თუ მას ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი რაიმე ადამიანური, გაღვიძებოდა ეს ადამიანური თვისებები. უსინათლოს ლაზარე უნდა გადაერჩინა. ფილმისთვის მთავარ ამ ეპიზოდში ავთომ ითამაშა როგორც დიდმა მსახიობმა – ისეთი საყვედურით უთხრა მხოლოდ ერთი სიტყვა:„ ლა-ზა-რე", რომ ბავშვი წამით გაოგნდა. შემდგომი ქცევით კი აიძულა ლაზარე გამოფხიზლებულიყო და კაცობისკენ მოტრიალებულიყო. გაიხსენეთ, როგორი დაძაბული ზის ლაზარეს წინ, თითქოს მის სუნთქვას ისმენსო, როგორ ნელა დგება, თითქოს წასვლა არ უნდაო, როგორი ღირსებით მიდის ზურგით ლაზარესგან! პირველად ვიგრძენი, რომ სიკეთე შეიძლება იყოს იდუმალად აგრესიულიც. ეს არის ჩუმი ბრძოლა სიკეთისა სიკეთის გადასარჩენად. უსინათლო-ავთომ არ დაუთმო ბოროტებას თავისი ლაზარე! არის მომენტი, როცა სიკეთე, თუ ის დამთმობია, ბოროტების ტოლფასი ხდება. ყველაფერი ეს ავთომ იგრძნო და შეასრულა. მან ამ დროს გამოსცა ბრძენკაცის ენერგია, ღვთისკენ მომაბრუნებელი კეთილი ენერგია, რომელსაც გრძნობენ, ალბად მხოლოდ რჩეულები.

ლაზარე-გეგა საბედნიეროდ, ასეთი რჩეული აღმოჩნდა.

ასეთ ბრმას თამაშობდა ავთო და დღედაღამ ამ უცნაურად ძლიერი კაცის განსახიერებაზე ფიქრობდა. უსინათლოს როლიდან ავთო ფილმის დამთავრების შემდეგ დიდხანს ვერ გამოვიდა – კიდევ ორი-სამი თვე დასჭირდა ამას. როცა ფილმი ნახა ეკრანზე, თვითონ გვითხრა:

- რა მეშველება, ისე იმოქმედა ფილმმა ჩემზე, მგონი ისევ ბრმის როლში შევდივარო!

ზოზო ბაქრაძე შეწუხდა და უთხრა:

– შენი ბედი, შახტიკოტე რომ არ გათამაშეს, თორემ, როლში შესულს, სახინკლეში განახავდით მედუქნედ.

- ან ანარქისტი, – დაამატა კახი კავსაძემ სერიოზული სახით, – ჭკუიდან გადახვიდოდი, ამ მთავრობას მიტინგებს მოუწყობდი და სანამ როლიდან გამოხვიდოდი – გულაგში გიკრავდნენ თავსო.

ხუმრობა მაინც ვერ უნელებდა ავთოს უსინათლოს როლში ყოფნის ინერციას. ის ჯერ კიდევ ტყე-ტყე, ღრე-ღრე დადიოდა ლაზარესთან ერთად და ქადაგებდა და ქადაგებდა... შემდგომში ავთომ კარგი როლები შექმნა კინოში. თუმცა არც ძალიან ბევრი. რაც არ მოსწონდა – უარს ამბობდა: „თუ ჩემი შესაფერისი როლი არ იქნა, თავს ვერ შევირცხვენო, ყველაფერს ვერ ვითამაშებო". ხშირად უჭირდა, მაგრამ ბოლომდე თავისი პრინციპის ერთგული დარჩა. ეს თვისება, სამწუხაროდ, იშვიათია მსახიობებშიც და რეჟისორებშიც.

(გაგრძელება იქნება)

მზის და ვარდების თუ ჩილიმების ქალაქი?

საქართველოში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად ტურიზმი ითვლება და სამართლიანადაც. ჩამოსულ სტუმრებს დასათვალიერებელი, იცოცხლეთ, მართლაც ბევრი აქვთ. ისტორიული ძეგლების, ბუნების გარდა, ტურისტებს ქართული სამზარეულო, ღვინო და სხვა ნუგბარიც აინტერესებთ, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსულებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებითთ დედაქალაქში, თბილისში, ორიენტირი ეროვნულ ღირებულებებზე უნდა აეღოთ როგორც ხელისუფლების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებს. რეალობა, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვაგვარი გახლავთ.

ზაფხულში თბილისში სტუმრად ჩამოვიდა აქ დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი შვილთან ერთად, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ორი ათეული წელია, გერმანიაში ცხოვრობს და ამ ხნის განმავლობაში სამშობლოში არ ყოფილა. საქართველოს და ახლო მეგობრებს მონატრებული გულდაგულ ათვალიერებდა აქაურობას. ერთ დღეს გადაწყვიტა, თავის

მეგობარ ქალბატონთან ერთად ესადილა რომელიმე რესტორანში და ქართული, მშბლიური კერძები მიერთვათ. როგორც გაირკვა, ბავშვობის მეგობრებმა შემოიარეს თითქმის მთელი ვაკე, მაგრამ ქართულ სამზარეულოს მხოლოდ ერთგან, გაჭირვებით მიაგნეს. იქაც მენიუში ცოტა რამ თუ იყო ქართული კერძებიდან.

დედაქალაქში უამრავი ე.წ. თანამედროვე რესტორანი თუ ბარია გახსნილი. რასაც გნებავთ, მოგართმევენ, ქართული ასორტიმენტი კი ნაკლებად არის. ჩილიმი გნებავთ? ინებეთ, იაპონური სუში, პიცა, ჰამბურგერი, კოკა-კოლა თუ სხვა უცხოური დასახელების პროდუქცია მრავლად არის ჩვენს კაფე-რესტორნებში, ქართული — ნაკლებად. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ მთელ რიგ რესტორნებში ორნაირი მენიუ აქვთ, უცხოელებისთვის და ადგილობრივებისთვის. განსხვავება მხოლოდ ფასებშია.

ლესელიძის ქუჩაზე, თავისუფლების მოედნის სიახლოვეს, რესტორანი „ფირუსმანი" მდებარეობს. იქაური მენიუს შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სტუმრებს ჩილიმსაც სთავაზობენ. კი, მაგრამ, ბატონებო, სად ჩილიმი და სად — ფირუსმანი? ნიკალა თუთუნსაც არ ეწეოდა! იმავე ქუჩაზე, სადაც უამრავი ტურისტია, კიდევ არის რამდენიმე კაფე, სადაც იგივე ჩილიმს გთავაზობენ. შარდენის ქუჩაზე ხომ ყოველ რესტორანშია ჩილიმი. ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება თამბაქოსთან ბრძოლის მიზნით კრძალავს სიგარეტის მოწევას და თითქმის ყოველ კვარტალში აძვირებს პროდუქციას. თავისთავად ჩვენც ვემხრობით ჯანსაღი ცხოვრების წეს-კანონებს, მაგრამ სიგარეტის გაძვირება და ამ დროს ჩილიმის, ნარკოტიკების ლეგალიზება, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამობაშია.

დავუშვათ, თავად ბიზნესმენები წყვეტენ, რითი უნდა ივაჭრონ. დავიჯეროთ, რომ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან თუ სხვა ქვეყნებიდან ჩილიმის გასაბოლებლად ჩამოვლენ მომავალში სტუმრები? ჩილიმი უვნებელია, არომატული თამბაქოაო, ამბობენ. თუმცა ამ არომატულ თამბაქოს სულ ადვილად შეიძლება დავუმატოთ ნარკოტიკი და... არავინ უარყოფს, სტუმრებს ყველანაირი პირობები უნდა შევუქმნათ, მაგრამ არც ჩვენი ეროვნული უნდა დაგვავიწყდეს, რითიც ვამაყობთ, უყვართ შინაურებს თუ უცხოელებს.

დიახ, ჩილიმ-ბარები თბილისში უამრავია, მაგრამ „ლაღიძის წყლების" მაღაზია ერთ-ორ ადგილზეა დედაქალაქში. საშუალო ასაკის ხალხს კარგად ახსოვთ რუსთაველის პროსპექტზე არსებული „ლაღიძის წყლები", სადაც მუდამ რიგი იდგა და მის დაუგემოვნებლად არც ერთი სტუმარი არ მიდიოდა აქედან. ახლა მის ადგილზე ნაცხროვის წყალობით უსარგებლო ტანსაცმლის მაღაზიაა. სტრიპტიზ-ბარებით, ჩილიმითა და სხვა სისულელით ვერავის დავაინტერესებთ. ტურისტები აქ ძველი არქიტექტურის, ისტორიული ძეგლების სანახავად ჩამოდიან, თორემ შიშველი ქალები მათ უფრო ბევრი ჰყავთ და თრიაქიც უამრავი აქვთ. ალბათ, დროა, წინ ეროვნული ტრადიციები წამოვწიოთ, თორემ „მზის და ვარდების" ქალაქი ჩილიმების, სტრიპტიზების თუ სხვა მანკიერებათა ქალაქად იქცევა.

გია ბურდული
551 71 27 07

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

აბულის ციხე

ტიტიკაკას ტბასთან გიგანტთა ქალაქის კიბე

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

„სინამდვილეში, უცხოპლანეტელები საშიშები სულაც არ არიან, მათ მხოლოდ პლანეტის ბუნებრივი რესურსები აინტერესებთ, ამან კი ჩვენი შეშფოთება არ უნდა გამოიწვიოს,“ — განაცხადა NASA-ს წარმომადგენელმა ტრიშ ჩამბერსონმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვაპლანეტელები უკმაყოფილოები არიან ატომური იარაღის გამოყენების გამო, რადგან ეს ცუდად მოქმედებს პარალელურ სამყაროზე.

მაგალითები მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოშიც, განსაკუთრებით აფხაზეთსა და ჯავახეთში. მათი ასაკი ხშირ შემთხვევაში ძვ.წ. XIV–XIII საუკუნეებია.

ყველაზე საინტერესოა ჯავახეთში, აბულის მთაზე მდგარი მეგალითი, ე.წ აბულის ციკლოპური ციხე ზღვის დონიდან 2670 მეტრზე. ის უკაცრიელ ადგილზე, ჩამქრალ ვულკანზეა აღმართული. ეს არის ყოველგვარი დუღაბის გარეშე ნაშენი ქვის ქალაქი სახლებით, ქუჩებით, მოედნებით, სათავსოებით, ციტადელით, რაც მთლიანობაში ნიჭიერად დაგეგმილი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

ციხე გრანდიოზული და რთული დაგეგმარებისაა. მთის სამხრეთი კალთა მორენებითაა დაფარული. „ვიღაცებს“ სწორედ ამით უსაგებლიათ და ლოდების მცირე გადაადგილებით მიუღიათ ისეთი დარან-სამალავები, რომლებსაც ვიწრო და დაბალი შესაძვრომი აქვს, საკმარისია ერთი ლოდის აფარება და ყველაფერი შეუმჩნეველია, არაფრით გამოირჩევა ქვის საერთო მასისგან. სიმაგრეს წყაროც გადმოუდის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ციხის თავდაცვისუნარიანობას.

მსგავსი მეგალითები მრავლადაა საქართველოში, სადაც თითოეული ლოდი 2–3 ტონაზე მეტი სიმძიმისაა, რაც კითხვას ბადებს: ვისი დახმარებით, ვისი მიბაძვით, ვის წინააღმდეგ, ან რა ტექნიკის დახმარებით აგებდა ადამიანი, მაშინდელი დიაოხელი ამ ნაგებობებს, როცა მხოლოდ ბრინჯაოს ცული და მწირი ცოდნა ჰქონდა?

სოფელ აბულის მკვიდრმა ახალგაზრდა, მურაზმი, რომელსაც ნანახი არ ჰქონდა აბულის ციხე, ისიც ჩვენ გამოგვყვა. მან მხოლოდ ის იცოდა გადმოცემით, რომ სადღაც მაღლა, მთებში, იყო რაღაც, რაც ქორ-ოღლის სახელს უკავშირდებოდა, დიდი ტანისა და დიდი ფიზიკური ძალის მქონე საშინელ კაცს.

ჩამქრალი ვულკანი აბულზე

(დიდი მადლობა ნიკოლოზ პონომარიოვს, პოლკოვნიკ თენგიზ მელიქიძეს, გოგა ჭეფხოძეს, ზურა მოსიძესა და აუცილებლად ბატონ კუკური მეტრეველს, რომელიც მობილური კავშირით დაუზარებლად გვიწევდა მეგზურობას — საკუთარი თვალით მანახეს აბულის ციხე და საკუთარი ფეხით ვიარე აბულის მთიდან ვულკანის ამოფრქვეულ ლოდებსა თუ აბულის ციხის კედლებზე. თუმცა, სიარული პირობითად ითქმის, აბულის ციხემდე მისვლა მხოლოდ ხტუნვით არის შესაძლებელი)

სამხრეთ ამერიკაში, ტიტიკაკას ტბის მახლობლად, ზღვის დონიდან 4 ათასამდე მეტრის სიმაღლეზე დღესაც დგას მეგალითი „გიგანტთა ქალაქი“. საინტერესო და საკვირველია, რომ არქეოლოგებმა ამ სიმაღლეზე ზღვის კვალს მიაგნეს და ქალაქი საპორტო ნაგებობას წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმით არის საინტერესო, რომ კლდეში ნაკვეთია ორი სავალი საფეხური, იმ ხანად იქ მცხოვრები (ალბათ, სტუმრებისთვისაც) გიგანტი და ტანმორჩილი „მოქალაქეებისთვის“.

ჯერ კიდევ 1912 წელს გაუჩინა თავსატეხი მეცნიერებს სამხრეთაფრიკელმა ფერმერმა შთოფელ ქოეძიმ, რომელიც ახლაც აუხსნელი რჩება. პროვინცია ტრანსვაალის ტყიან რეგიონში, სვაზილენდის საზღვართან ახლოს, მან ადამიანის მარცხენა ტერფის გიგანტური კვალი აღმოაჩინა. გრანიტის ქვაში გამოსახული 128/60-ზე სანტიმეტრის ტერფის კვალი იმდენად მკაფიოა, რომ თითებს შორის ჩარჩენილი „ნიადაგის“ შვერილებიც კი ჩანს, თითქოს რბილ თიხაზე გიგანტმა დააბიჯა, შემდეგ კი მზემ გამოაშრო — აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მხარეში თიხა საერთოდ არ არის.

მეცნიერები სკეპტიკურად განეწყვნენ აღნიშნული სენსაციის მიმართ, მითუმეტეს, რომ იმ მიყრუებული, ქვიანიანი რეგიონის მონახულება ძალიან ძნელი საქმე იყო იმ დროისთვის. საეჭვო არტეფაქტი მალევე მიივიწყეს.

მეორედ, იდუმალებით მოცული კვალი იოჰანესბურგელმა ჟურნალისტმა დევიდ ბარითმა „აღმოაჩინა“, პლატო ველდის მონახულებაც არ დაიზარა და კვალის ნამდვილად არსებობაშიც დარწმუნდა. „უზარმაზარი ზომის მიუხედავად, ანაბეჭდი 15 სმ-ის სიღრმემდეა ჩაფლული. თუ ის ყალბია, მის შესაქმნელად ტიტანური შრომა უნდა გაეწიათ, ეს ხომ გრანიტია და არა კირქვა. თან, ტერფიც აბსოლუტურად გლუვია, ყოველგვარი დამუშავების კვალის გარეშე. როგორც ჩანს, გრანიტის ლოდი ერთ დროს ჰოტიზონტალურად იდო, მოგვიანებით მომხდარი სეისმური აქტივობების შედეგად კი გერტიკალური მდგომარეობა მიიღო“, — ამბობს ბარითი.

„ტრანსვაალური გამოცანის რაციონალურ ახსნას მე ვერ ვპოულობ. გრანიტში ტერფის ანაბეჭდის ამოჭრა პრაქტიკულად შეუძლებელია და თუ ეს ხუმრობაა, ალბათ, მისი ავტორი ადამიანი არ უნდა იყოს“, — განაცხადა ქეიფთაუნის უნივერსიტეტის გეოლოგიის პროფესორმა არჩ რეიდიმ.

ადგილობრივებს სჯერათ, რომ ტერფს ღვთაებრივი წარმოშობა აქვს და წმინდა ადგილად თვლიან, ამის გამო ქვასთან მიკარება მხოლოდ ქურუმებს შეუძლიათ.

კიდევ ერთი „ღვთიური ტერფი“ შრი-ლანკაში მდებარეობს კოლომბოდან 44 კმ-ის მანძილზე, ადამის მწვერვალის ჭაობიან მთაზე. მისი ზომები თითქმის იგივეა, ოღონდ აქ მარჯვენა ტერფია გამოსახული.

ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება, რომ პირამიდები იქნება თუ სტოუნჰენჯი, ყველა დიდი ნაგებობა ასეთი გიგანტური ადამიანების რასის აშენებულია, რომლებიც უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ძალას ფლობდნენ.

დავუშვათ, ეს ყველაფერი, ზემოთთქმული, მართლაც ასეა, აქედან გამომდინარე უფრო მეტი კითხვა ჩნდება, ვთქვათ: — აღდგომის კუნძულის ქვის გიგანტური ქანდაკებები კოლხური (მეგრული) თავსაბურავებით, პირდაპირი ასლი ხომ არ არის ზომებში კუნძულის პირველი მეფეების? ან, ეს ყველაფერი, პირდაპირ კოლხეთს რომ უკავშირდება, რა ვუყოთ, მსოფლიო მეცნიერების მთელი კვლევები ზღაპრად ჩავთვალოთ?

(გაგრძელება იქნება)


ტერფი ტრანსვაალში


ტერფი შრი-ლანკაზე

ვულკანური ლოდები აბულზე

მურად ჭოლოკავა – 75

ლექსები



ამ ბურანს იქით

დღეს ბედისწერა ისევ მაქციობს
და ბედიც, ვფიქრობ, უნდა გამიწყრეს.
იქნებ სიკვდილმა მიწად მაქციოს,
სულს მაინც, ვიცი, ვერ დაამიწებს.
ვხედავ ჩემს ირგვლივ სევდას მოფენილს,
ვხედავ მწუხრსა და მწუხარე ფიქრით
გადაბურულა, ჩემი, სოფელიც
და გალურსული ბურანში მიქრის...
მე კი... სულელი იმაზე ვფიქრობ,
რა მიმალულა ამ ბურანს იქით...

ამაყად მოხველ, ეს სიცოცხლეც ამაყად დათმე

აღარ გასრულდა სულის წვა და ეს მარტოობა,
სითბოს ძებნაშიც ძუ მგელივით მარტო წანწალი,
თავო, ბედმრუდო, ვით მეგონა მიმატოვებდა,
იმედი – ქალი მეძავი და ქალი წაწალი.
შენ, გულო ჩემო, ჩემო სისხლო ჯიშით ნაქებო,
რად დაგაღონა დღემ შავბნელმა და უამინდომ,
დაჰბერე ქარო, ჩამაჩუმქრე თოვლის ნამქერო,
და შენც უფალო, ამ წუთიდან აღარ დამინდო,
არ მინდა ცრემლი, ქვითინი და გოდება, გლოვა.
არც დაცემულს და დამარცხებულ მეომარს ვგავდე,
ამაყი იყავ და სიკვდილიც ამაყი მოვა,
ამაყად მოხველ, ეს სიცოცხლეც ამაყად დათმე.

ბედისწერაო, მუხთალო

ვაი დედასა, სიკვდილო,
გზაზე მულიდად მიყელე,
ეგ დასაბინდი სოფელი,
ნაადრევ გადამიბელე. დ
ღეო, დაბნელდი, ისედაც
ჩემთვის უკუნი ღამე ხარ.
კიდევ რა უნდა მაწიო,
მუხას ორგზისად ნამეხარს.
სული ფლასებმა ჩანისლა,
მომსწრე ათასი ავისა,
მაგრამ სულ სხვა რამ ყოფილა,
გაყრა შვილის და მამისა.
ამ სოფლად იმათ რა ნახეს,
ან სულმა ჩემმა რა ნახა?
მათი სამზეო მინდორი,
სიკვდილმა გადიბალახა.
საგაზაფხულო წვიმებო,
ცრემლად რად უნდა მაწვიმო?
უჟამოდ რად ჩააბნელე,
მზე იგი – მათი საწილო?
ო, რა ხანგრძლივი გამოდგა,
ეს ჩასისხლული დაისი.
არარასით მოსული,
მოვდივარ არარაისით...

ჩემთვის არის გვიან...

უკვე დადგა ჟამი...
დაზამთრდა და ცივა.
აწ არასდროს მოვა
გაზაფხულით ია.
ჩემთვის უკვე თოვს და
დღეს არ ველი მზიანს,
ვერ გავაღწევ, ვიცი...
გრძელი ზამთარია...
მთვარეც უკვე ჩადის...
თოვს, ცივა და ყინავს,
ძვლებში მამტვრევს რაღაც,
საშინელი ძალა.
ვეღარ თბება ჩემი,
ნაზამთრალი ბინა.
მიეყინა სული,
ბნელი ფანჯრის მინას...
აწ არასდროს მოვა,
მაისი და ია,
ჩემთვის არის გვიან...
ზამთრის გრძელი დღეა...

და სიკვდილისგან ვერ გადაგმალე

დილით სახლიდან გასული ბიჭი
სახლში საკაცით როცა დაბრუნდი,
მაშინ დაბნელდა საწუთრო ჩემი
და დაბნიც ჩემი გაუდაბურდა.
რა გალევს აწი, მგლოვარე მამის
დღეებს უმზეოს, ასეთ ფრთაშავებს?!
ვაი, რომ ფრენა აღარ დაგცალდა,
ვაი, რომ ფრთები ვეღარ გაშალე.
ვერ გაიარე სავალი შენი,
სათქმელი შენი მოასწარ ვერც კი
და მამას, – შენსას, – უსასოდ შთენილს,
წაჰკიდებია გეენას ცეცხლი...
მზის ღიმილიანს და მეოცნებეს,
უზადო სულის ლაჟვარდ ზეციანს,
ჩამოგიბნელდა უცებ სოფელი,
უცებ სიკვდილი წამოგეწია.
ახლა ყვავილებს გირგავ საფლავზე,
გაგილამაზო მინდა სამარე,
ვაიმე, შვილო, ვეღარ შევიძელ
და სიკვდილისგან ვერ გადაგმალე.
დღეო, დაბნელდი, ისედაც
გაუნათლავი ღამე ხარ.
კიდევ რა ყოფას მიმზადებ,
მუხას ორგზისად ნამეხარს.
ბედისწერაო, მუხთალო,
გულად რა გული გდებია.
დროზე გამიშვი, წავიდე
იქ, სადაც მელოდებიან.
იქ, სადაც დუმილია და
სიცოცხლის ჩქამიც არ ისმის,
არარაისად მოსული,
გამიშვით არარაისით.

მანანას – ჩემს მეუღლეს

ძვირფასო ჩემო,
ვეღარ მიგიხვდი,
ვეღარ გავუგე ტკივილს მანამდე,
ვიდრე ცრემლები არ შეგამჩნიე,
უსაზღვრო ტკივილს რომ მიმალავდნენ...
რომ მიმალავდნენ უხმო კაეშანს,
უსიტყვო გლოვას,
ცრემლთა იმ მძივებს,
რომ ატარებდი სამყაროსავით,
განუზომელ და გულქვა სიმძიმეს.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას?

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

* * *

– მაინტერესებს ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში.

– თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128–131. -ე მუხლები-ე მუხლები, რომელთა შინაარსს წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 128. ცნება. სახეები

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა. პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ. მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

* * *

– ვარ 71 წლის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ვაპირებ მეუღლესთან განქორწინებას, რადგან ჩვენი ერთად ცხოვრება ყოველგვარი მოთმინების ზღვარს სცილდება. ქონებრივი დავა არ გვაქვს. შეიძლება თუ არა, ეს მოგვარდეს სასამართლოს გარეშე?

– გამოგიტყდებით, ნამდვილად გამიკვირდა, ამდენი ხნის თანაცხოვრების შემდეგ მეუღლესთან განქორწინება რომ გადაწყვიტეთ. ჩემი ადამიანური რჩევაა, კარგად დაფიქრდეთ და ისე მიიღოთ გადაწყვეტილება. სამართლებრივი რჩევა: დიახ, ეს შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს გარეშე, თუ თქვენ ნამდვილად არ გაქვთ ერთმანეთთან ქონებრივი დავა და ორივე მხარე თანახმანი იქნებით განქორწინებაზე. ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო აქტების სააგენტოში თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

– ვყიდულობ ბინას. ვინ უნდა გადაიხადოს აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები – მე თუ გამყიდველმა?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 479-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აშშ-ის ოცი უცნაური პრეზიდენტი

დავუშვათ, რომ ტრამპი ეშმაკი პოპულისტია, უსირცხვილო მატყუარა, არაპოლიტკორექტული მექალთანე და ამერიკელი რედნეკების გულანთებული მხარდამჭერი და პოლიტიკური კლოუნი. თქვენ თვლით, რომ აშშ-სთვის ასეთი თვისებების მქონე პრეზიდენტი რაიმე გამონაკლისს წარმოადგენს? ამერიკის 45 პრეზენტიდან 20 მაინც შეიძლება ჩავთვალოთ უცნაურ ადამიანად და თუ მათი მმართველობის დროს ქვეყანა არ დაინგრა, ეს, ალბათ, არც ახლა მოხდება...

ჯორჯ ბუში-უმცროსი (2001–2009). მას ყველაზე დაბალი IQ აქვს იმ პრეზიდენტებს შორის, ვისაც ეს მაჩვენებელი შეუმოწმეს. იგი ძლივს არჩევდა ერთმანეთისგან ირანსა და ერაყს..

ბილ კლინტონი (1993–2001). ის ლამის მეორე პრეზიდენტი გახდა აშშ-ის ისტორიაში, რომელსაც

რონალდ რეიგანი

იმპიჩმენტი გამოუცხადეს. მას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა სტაჟიორ მონიკა ლევინსკისთან და დაფიცა კიდეც და იცრუა, რომ ეს არასოდეს მომხდარა.

რონალდ რეიგანი (1981–1989). B კატეგორიის მცირებიუჯეტიანი ფილმების მსახიობი და რადიოს წამყვანი, რომელიც სიამოვნებით ყვებოდა ანეკდოტებს საბჭოთა კავშირის შესახებ. მან სახელი იმით გაითქვა, რომ მოიგონა ტერმინი „ბოროტების იმპერია“ და დაიწყო „ვარსკვლავური ომები“, რომლებიც აშშ-ს 2 ტრილიონი დოლარი დაუჯდა.

ჯიმი კარტერი (1977–1981). 1977 წელს მან პანამის არხი პანამელებს გადასცა, თუმცა ამერიკელთა უმრავლესობა მას თავისად თვლიდა. „გამოეპარა“ ირანის რევოლუცია, რამაც ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდა და ამერიკაში ღრმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. 1979 წელს ირანელმა სტუდენტებმა თეირანში ხელში ჩაიგდეს აშშ-ის საელჩო ყოფილი შაჰის მათთვის გადაცემის მოთხოვნით. კარტერმა მოთხოვნაზე უარი თქვა, მის მიერ მოწყობილი მძევლების გათავისუფლების ოპერაცია კი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო.

ჯერალდ ფორდი (1974–1977). იგი არჩეული არ ყოფილა. თანამდებობა ნიქსონის სამარცხვინოდ გადადგომის შემდეგ დაიკავა. ფორდის მმართველობის პერიოდში მოხდა არამარტო ეკონომიკური კრიზისი, არამედ სამარცხვინოდ დამარცხდა ვიეტნამის ომში. ის იმდენად არაპოპულარული იყო, რომ ორჯერ მოხდა მასზე თავდასხმა.

რიჩარდ ნიქსონი (1969-1974). უოტერგეიტის სკანდალი რომ არა, მშვენივრად ართმევდა თავს მოვალეობებს. მან საკუთარი კონკურენტის შტაბში მოსასმენი მოწყობილობა დაამონტაჟა და როდესაც ისტორია გახმაურდა, გამოძიებისთვის ხელის შეშლაც სცადა. ამან კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია და ნიქსონი გარდაუვალი იმპიჩმენტის წინაშე აღმოჩნდა.

ლინდონ ჯონსონი (1963–1969). იგი ჯონ კენედის მმართველობის დროს ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და ფიცი პრეზიდენტის თვითმფრინავის ბორტზე დადო ჯონ კენედის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. სწორედ ჯონსონმა დაიწყო აშშ-სთვის დიდი ზარალის მომტანი ვიეტნამის ომი და ჯარი შეიყვანა დომინიკანას რესპუბლიკაში, მისი მმართველობის დროს მოკლეს მარტინ ლუთერ კინგი და დაიწყო არეულობები აფროამერიკელებს შორის.

ჯონ კენედი (1961–1963). ყველაზე მდიდარი ამეერიკის პრეზიდენტებს შორის. მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, იშვიათი მქალთანე იყო (მის მრავალრიცხოვან საყვარლებს შორის იყო მერილინ მონროც). ხანმოკლე მმართველობის მიუხედავად, თავი „გამოიჩინა“ კოჩინოს ყურეში ჯარების წარუმატებელი გადასხმით, ბერლინისა და კარიბის კრიზისით, რომელმაც კაცობრიობა ფართომასშტაბიანი ბირთვული ომის წინაშე დააყენა. მოკლეს სნაიპერული იარაღიდან ნასროლი ტყვიით გაურკვეველ ვითარებაში.

ჰერბერტ გუვერი (1929–1933). მისი რეიტინგი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის დაცემასთან ერთად დაეცა 1929 წელს. იგი ძალიან არაპოპულარული იყო. გუვერის უაზრო ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაარღმავა კრიზისი, რის გამოც მან „დიდი ანგარიშით“ წააგო ფრანკლინ რუზველტთან.

უორენ ჰარდინგი (1921–1923). მექალთანე, ლოთმა და პოკერის გამოუსწორებელმა მოთამაშემ უორენ ჰარდინგმა ვერ გაიგო, რატომ აირჩიეს რესპუბლიკელებმა პრეზიდენტის პოსტზე. აღმოჩნდა რა თეთრ სახლში, იგი გოლფს თამაშობდა და საყვარლებთან ერთობოდა. მისი კაბინეტის წევრები კი კორუფციაში ჩაიძირენ. ალასკიდან დაბრუნებისას იგი იმდენად მოულოდნელად გარდაიცვალა, ბევრი თვლიდა, რომ იგი მეუღლემ მოწამლა.

ჯეიმს გარფილდი (1881–1881). სულელს მას ვერ უწოდებდი. მას შეეძლო მარცხენა ხელით ძველბერძნულ ენაზე, მარჯვენა ხელით კი ლათინურად წერა და პითაგორას თეორემის ახალი დამტკიცება წარმოადგინა. ამის მიუხედავად, პრეზიდენტის პოსტზე ნახევარი წელი დაჰყო — სადგურზე, ვაშინგტონში მას რევოლვერიდან ესროლეს. ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა, მაგრამ სიკვდილამდე იგი ექიმებმა მიიყვანეს, რომლებმაც ჭრილობა დააინფიცირეს და ანთება გამოიწვიეს.

უილის გრანტი (1869–1877). კარგი მეომარი და ცუდი პრეზიდენტი — მისი მცდელობა, გაეერთიანებინა სამხრეთი და ჩრდილოეთი, ომის შემდეგ ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, მისი მმართველობის დროს მექრთამეობამ და კორუფციამ ამერიკაში არნახული

ჯონ კენედი

მასშტაბები შეიძინა. გარდა ამისა, მან დაასაქმა 40-ზე მეტი თავისი ნათესავი სახელმწიფო სამსახურებში და ორჯერ გაზარდა თავისი ხელფასი.

ენდრიუ ჯონსონი (1865–1869). თანამდებობა აბრაამ ლინკოლნის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. სწრაფად შეძლო საკუთარი თავის მიმართ კონგრესის დაპირისპირება, მოიმდურა სენატი, მოაწყო კონფლიქტი მინისტრთა კაბინეტთან და გახდა პირველ; ი პრეზიდენტი, რომლის გამოძევებაც სცადეს იმპიჩმენტის საშუალებით. ერთადერთი ნათელი წერტილი მის ბიოგრაფიაში ალასკის შეძენაა, რაც მისმა თანამედროვეებმა ღირსეულად ვერ დააფასეს.

აბრაამ ლინკოლნი (1861–1865).

ბილ კლინტონი

წარუმატებელი ადამიანის ეტალონი. მთელი ცხოვრების განმავლობაში უსიამოვნებები სდევდა. ...23 წლისა ვალებში ჩაეფლო, 26 წლისას პარტნიორი გარდაეცვალა და მის ვალებს დიდი ხნის განმავლობაში იხდიდა; 28 წლისამ ხელი სთხოვა ქალს, რომელსაც 4 წელი ხვდებოდა და უარი მიიღო; 37 წლის ასაკში მესამე მცდელობის შემდეგ აირჩიეს კონგრესში; 45 წლის ასაკში კვლავ ვერ გაიმარჯვა სენატის არჩევნებში; 51 წლისა აირჩიეს ამერიკის პრეზიდენტად, 56 წლის ასაკში კი მოკლეს თავში გასროლით.

ჯეიმს ბიუკენენი (1857–1861). ამერიკის ისტორიაში ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც ოჯახი არ ჰყოლია. იგი გაურბოდა მონობის პრობლემის აღიარებას და თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ქვეყანა იშლებოდა. ავშირიდან გავიდა სამხრეთ კაროლონა, რომელმაც ექვს სხვა შტატთან ერთად შექმნა ამერიკის კონფედერაციული შტატები და დაიწყო სამოქალაქო ომი. ბიუკენენი ამერიკის ისტორიაში ყველაზე უარეს პრეზიდენტად არის მიჩნეული.

ფრანკლინ პირსი (1853–1857). ალკოჰოლიკი და ამერიკული ექსპანსიის ყბადაღებული მხარდამჭერი. მისი მმართველობის პერიოდში მოინდომეს ესპანეთისთვის კუბის წართმევა, გაუარესდა ურთიერთობა ბრიტანეთთან. სამაგიეროდ, მისი შეცდომები აღარავის გაუმეორებია.

მილარდ ფილმორი (1850–1853). მხარი დაუჭირა გაქცეული თეთრი მონების დევნას თავისუფალი შტატების ფარგლებში, რითიც ჩრდილოელები გაანაწყენა. მან მხოლოდ სამოქალაქო ომის გადავადება შეძლო, რაც არ აპატიეს.

ზეკერი ტეილორი (1849–1850). ამ ბრიყვმა მეომარმა უარი განაცხადა პრეზიდენტის ფიცის დადებაზე კვირა დღეს, რადგან პროტესტანტი იყო და ამერიკა მტელი ერთი დღე პრეზიდენტის გარეშე იყო. იგი კრეტინიზმამდე გულუბრყვილო იყო და პოლიტიკა სულ არ აინტერესებდა. არავის ახსოვს, რაიმე გააკეთა თუ არა მანამ, ვიდრე დიზინტერიით გარდაიცვლებოდა.

ჯონ ტეილერი (1841–1845). ჰარისონის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო და პოსტი მისი გარდაცვალების შემდეგ დაიკავა ამომრჩევლების მოლოდინი ვერ გაამართლა. ისტორიკოსების მოსაზრებით, ტაილერმა ამერიკის ისტორიაში ყველაზე მეტად ვერ გაამართლა, თუ არ ჩავთვლით ჰარისონის ერთთვიან მმართველობას.

უილიამ ჰარისონი (1841–1841). ინაუგურაციაზე ორსაათიანი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მას ფილტვების ანთება დაემართა და ერთ თვეში გარდაიცვალა. ისტორიაში ორი რეკორდით შევიდა: ყველაზე მოკლე საპრეზიდენტო ვადით და ყველაზე გრძელი საინაუგურაციო სიტყვით.

აშშ სახელმწიფო მმართველობის კუთხით „მერსედესია“ — კარგად გააზრებული კონსტიტუცია, ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის, სოციალური ლიფტები, კომპეტენტური სახელმწიფო ინსტიტუტები, ჯანსაღი სამეთვალყურეო ორგანოები და განვითარებული დემოკრატიის სხვა ბერკეტები. ასეთ პირობებში ნებისმიერი თუნდაც ყველაზე არანორმალური პრეზიდენტის მმართველობის პირობებშიც კი შესანიშნავი შედეგების მიღწევა შეიძლება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა